ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 119
ივნისის 9, კვირა, 1902 წ.
1877

# ივერია

№ 119
ივნისის 9, კვირა, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **ექვს მანეთად და ათ შაურად** (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდპირ).

**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ოზურგეთში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

მოსკოვი 1893 ს.-პეტერბურგი 1870 ნ.-ნოვგოროდი 1897

## სავაჭრო სახლი
## დონნერისა და ლეიტცისა

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.

**ჟირარდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.**

საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად

**ტილოსი, ბამბისა და წინდა-ჩულქის საქონელი.**

**ავეჯის გადასაკვრელი მაცერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები**

**საბნები მატყლისა და აბრეშუმისა.**

საცვლები ქალისა და კაცისა

## მზითევი

მზადდება! შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებითი პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

**„იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთა მზრუნველობის კავკასიის განყოფილების საბჭო** აცნობებს განყოფილების წევრებს, რომ კვირას 9-ს, ამ ივნისს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ, მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმსრულებელის გენერალ-ლეიტენანტის ა. ა. ფრეზეს სახლში დანიშნულია საზოგადო კრება სამზრუნველოის კავკასიის განყოფილების წევრთა, განყოფილების მოქმედების 1901 წლის ანგარიშის მოსასმენლად და მოხელეების ასარჩევად.

(3—3)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

## სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი.

(6—6)

### ქართველ ქალთა
## ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჭკრავენ ნიშნებს (мѢтки). ბარონის ქუჩა № 12.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**კ. ი. გძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**გ. ა. თარხანოვი.** 7—$7^1/_2$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ბ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**ბრ. ვ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**ბ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**მ. ი. იანჩევსკი:** ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილ·ის 12—1 საათამდის.

**ა. ბ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კვირაობით:**

**ბ. ზ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა.

(წ.)

## ტფილისი

◆ დღეს, 9 ივნისს, ქართულ თეატრის ფოიეში მოხდება სახალხო თეტრის ქართულ სექციის კრება. ამ კრებაზედ წაიკითხავენ ანგარიშს სექციის მოქმედებისას და აარჩევე[illegible] ახალ წევრებს. დასწრება ყველას შეუძლიან.

◆ გუშინ, 8 ამა თიბათვეს, ტფილისში ჩამოვიდნენ ადესის უნივერსიტეტის პროფესორები ვ. მ. პეტრიაშვილი, პ. თ. ბარაკოვი და ამავე უნივერსიტეტის ცხრამეტი სტუდენტი საბუნების-მეტყველო ფაკულტეტისა საექსკურსიო მიზნით. ექსკურსანტები 25 წარსულ მაისს გამოსულან ადესიდან, დაუთვალიერებიათ ქერჩში თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა, ნოვოროსსიისკში ცემენტის ქარხანა, ახალ ათონში მცენარეთა საკულტურო ბაღი, აგრეთვე დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის მამული „სინოპი“. ბათუმსა და ჩაქვაში ექსკურსანტებს დაუთვალიერებიათ პაპოვისა და საუფლისწულო ჩაის პლანტაციები, ზესტაფონის მახლობლად საქარის ვაზის სანერგე და ჭიათურაში შავი ქვის მაღაროები.

ტფილისში ექსკურსანტები დარჩებიან სამი ოთხი დღე და დაათვალიერებენ ქარხნებს, შესანიშნავ ადგილებს და აგრეთვე ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ახალს შენობას. ტფილისიდგან ექსკურსანტები მიემგზავრებიან საუფლისწულო მამულების დასათვალიერებლად წინანდალში, საიდანაც ისევ ტფილისში დაბრუნდებიან. ექსკურსანტების შემდეგი მარშრუტი ამნაირია: ყარაიაზი, ბაქო, პეტროვსკი, კავკავი, სამხედრო გზით, მცხეთა, ბორჯომი, ახალ-ციხე, აბასთუმანი, ზეკარის უღელტეხილით ქუთაისი, თყიბული, სამხედრო ოსეთის გზით კავკავი, პიატიგორსკი, კისლოვოდსკი, ჟელეზნოვოდსკი, ეკატერინოდარი, ნოვოროსსიისკი და უკანვე ადესა. ექსკურსია გასტანს 50 დღემდის. სტუდენტები მოგზაურობის დროს აგროვებენ საბატანიკო და სამინერალოგო კოლექციებს. ექსკურსანტებს ქართველები ყველგან დიდის ალტაცებით ეგებებიან. ტფილისში პატივცემულნი მოგზაურნი სათავად-აზნაურო სკოლაში ჩამოხდნენ.

◆ როგორც შევიტყვეთ, ჩვენს კომპოზიტორს, ბ-ნ მ. ბალანჩივაძეს განუზრახავს ტფილისში ქართულ სამუსიკო წრის დაარსება და პირველ ხანებში საჭირო თანხის გამოღებაც თვით უკისრნია.

◆ 7 ამ თვეს, დილის 9 საათზე, გარდაიცვალა კავკასიის ჯართა მეორე კორპუსის უფროსი ინფანტერიის გენერალი ედუარდ ედუარდის ძე ზეზემანი.

◆ ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში წელს არც ერთი თავისუფალი სახელმწიფო ვაკანსია არ არის და არც მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში იყოს. ამისათვის წელს არც კნეჭის ყრა მოხდება და აღარც თხოვნები მიიღება სახელმწიფო ვაკანსიებზედ.

◆ ამ დღეებში გორის მიდამოების დასათვალიერებლად გაემგზავრა დედათა პირველ გიმნაზიის მერვე და მეცხრე კლასის მოწაფეთა ჯგუფი ორის მასწავლებლისა და აღმზრდელ ქალის თანხლებით. მგზავრიბის მიზანი შესანიშნავ, კლდეში გამოქვაბულ ქალაქის უფლისციხის დათვალიერება იყო. მასწავლებლები

## ფელეტონი

### მოხელენი

(სურათი სოფლის ცხოვრებისა)

### I

ის იყო ჩამავალმა მზემ უკანასკნელად-და მიაშუქა თვისი მწვავი ოქროს ფერი სხივები სოფელს №...-ს და მიეფარა დასავლეთის პატარა გორაკს. წამოვიდა გულის გამაცოცხლებელი გრილი სიო და ყოველი სულდგმული უდიერის სიცხისაგან დათენთილი მოვიდა მოძრაობაში. გვალვისაგან დაყურსული ტყე, თითქო გამოერკვა ღრმა ძილისაგანაო, აშაურდა, გაისმა იდუმალი შრიალი ფოთოლთა, ფრინველთ საამური ჭიკჭიკი და ცელქობა. ამ დროს სოფლის ერთ განაპირა სამიკიტნოში ქეიფობდნენ: მამასახლისი და მწერალი. იქვე, მათ შორი ახლოს, დახლთან იჯდა დაღვრემილი მიკიტანი გასპარა.

— რას მოგიწყენია, გასპარ, გაიხსენ ეგ დალოცვილი შუბლი. ვაჟო, ჩვენი ხარჯით დალიე, ხათრი გაგვიწიე და დაგვალევინე—ეუბნებოდნენ შექეიფიანებული მამასახლისი და მწერალი მედუქნეს.

— რატომ, ძმებოჯან! ვა, რა მეხარჯება!?. უპასუხა ცბიერისა და გაქნილის ღიმილით გასპარამ და დაუმატა:—იცოცხლეთ, იხარეთ და თან გადაჰკრა ღვინით სავსე ყანწი.

სტუმარ-მასპინძელი რომ ამ თავაზასა და ჟამში იყვნენ, შემოვიდა დუქანში აზნაური ტიტიკო უქმაძე, სიამოვნების ღიმილით და მედიდურად მისცა სალამი მოქეიფეთ: გამარჯვება თქვენო.

მამასახლისი და მწერალი ფიცხლავ წამოხტნენ და ერთხმად უპასუხეს:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! მობრძანდით, შენი ჭირიმე, ბატონო ტიტიკო, დაგვლოცე!—თან მიაწოდეს სავსე ყანწი.

ტიტიკოს სახეს სიამოვნების გამომეტყველება დააჩნდა, რაკი მამასახლისმა და მწერალმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს. ტიტიკო გამოჩნდა მთელის თვისის წვლილ-კნინობით. ტიტიკოს აზნაურობა დიდადა სწამდა და ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი თვისის წოდების უპირატესობა. სამწუხაროდ, ამ უპირატესობას იმით ამტკიცებდა მხოლოდ, რომ უსაქმურად ატარებდა ძვირფას დროს და უსაგნოდ ჰლევდა თავის ჯან-ღონეს. მისი იდეალი იყო: სმა, ქეიფი და უაზრო ცხოვრება. თავი მოსწონდა იმითი, რაც ცოტაოდნად შეგნებულ ადამიანისათვის საწამლავი და შხამია. ტიტიკოს შეძლება ხელს უწყობდა, რომ ადამიანურს ცხოვრებას დასდგომოდა, მაგრამ იმის ყურამდე არ მიეღწია რუსთაველის ბრძნულ სიტყვებს: „ათასად კაცი დაფასდა, ორი ათასად ზრდილობა, თუ თითონ კაცი არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა!“

რა შეატყო ტიტიკომ, რომ მამასახლისმა და მწერალმა იმისი მისვლა ბედნიერებად მიიჩნიეს, თავგამოდებულის სიამაყით ჩამოჯდა იქვე სამ-ფეხა სკამზე, გადაუხადა მადლობა, ადღეგრძელა მასპინძლები და გამოცალა ყანწი.

— ღმერთმა გაცოცხლოთ, ბატონო ტიტიკო! თქვენი იმედი ნუ მოგვიშალოს გამჩენმა ღმერთმა!..—დაიწყო მამასახლისმა და უნდოდა კიდევ განეგრძო, მაგრამ მწერალმა სიტყვა გააწყვეტინა!

— იცი, მამასახლისო, ბატონ ტიტიკოს მადლობელი უნდა ვიყვნეთ, შვილოსა, რო ეცივ ხელადა ღვინოსა და მსუქან დედლებს თავისუფლად შევექცევით.

— ღმერთმა გვიცოცხლოს ამის თავი!—დაუკრა კვერი მამასახლისმა მწერალს:—თუ ბატონი ტიტიკო მწყალობელი გვეყოლება, როგორც გვინდა, ისე ვატრიალებთ სოფელსა. მე შენ გითხრა, უარი არ გაგვიბედონ!.. ერთი-კი დავიძახებთ ტყუილად: ეს პრიჭტავი მობრძანდაო, ეს ღუბერნატორის ჩინოვნიკიო, აბა, სადილიო და სოფელიც დაფაცურდება. გაიშლება ჩინებული სუფრა. ბატონი ტიტიკო რომ სხვანაირი ბძანდებოდეს, ასე გაგვიხდის საქმესა, რო... არ გაგიგონია: მზე და მთვარე რო მწყალობელი მყამდეს, მასკვლავებს რაღას შევეპუებიო... შენ ნახე რა შიშით კანკალებენ ჩვენ ყვირილზე: რაც-კი რამ კარგი გააჩნიათ საწყლებს სახლში, დააწყობენ ხონჩაზე და მიაქვთ დანიშნულს ალაგს. თითონ-კი კრძალვით უკანვე ბრუნდებიან, პრიჭტავი და ჩინოვნიკი არაფერზე გაგვირისხდესო.

— ჰო და მაგიტომ ჩავცვივით ხოლმე ქერის ორმოში! რის ფლავი, რის ბოზბაში, სად ვინ არის ხოლმე!? არა, ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედამსო. ერთი ჰკითხე თქვენ ლხენას, რომელი ჯამაგირის ძლევით მოზდით ძალა? ამ ქალაქია დღეს სოფლის საქმეზე დავწანწალებ მშიერ-მწყურვალი და არ შემერგება თუ!?

— რა დროს ეგენია, ღმერთი გადღეგრძელებს, მამასახლისო, — შეაყენა მწერალმა გულ·ახდილი მამასახლისი და დაუმატა: იცოცხლე, ტიტიკოჯან!

მწერალმა დასცალა ყანწი და ძალზე შეზარხოშებულმა შემოსძახა მრავალ-ჟამიერი. ტიტიკოსაც შეუჯდა თავში ღვინო, გადაჰხვია მწერალს ხელი და გულითა სთქვა:

— ღმერთმა თქვენი ძმობა და მეგობრობა ნუ მომიშალოს!

ლადო ხარბიშვილმა—ასე ეძახდნენ მამასახლისის გაიძვერა მწერალს,—სიამოვნების ნიშნად გადისვა ხელი თავის ფეჩხატა წვერ-ულვაშზე და პატარა, ჭრელი, ჩაცვივნული, გაქნილი თვალები უფრო მოჭუტა და დაუწყო ლოშნა აზნაურ უქმაძეს. ჩვენი რაინდები თანდათან უფრო შექეიფიანდნენ.

— მოგვიტათ, კაცო, ხორაგი, ნუ დაგვამშიეთ, ხომ იცით, ქართველ კაცს გულ-უხვობა უყვარს,—უბრძანებდა მედუქნეს ტიტიკო.

— ვა, კნიაზჯან, როდი უნდა გაჯავრდე, შენთვის სულს არ დავიშურებ. გასაყიდათ არ მინდა, რაც რამა მაქვს? შენზე კაი მუშტარს სად ვიშოვნი?—და დაუდგა ხელადით ღვინო, რომელშიაც ნახევრობამდის წმინდა სანთელი იყო ჩასხმული და მხოლოდ დანარჩენი იყო სავსე ღვინით. თან დასძინა: ახარ, გულფიცხი როდი უნდა იყვე, მალე დაბერდები! თაფლი იყვეს, თორემ ბუზი ბაღდადიდანაც მოვაო; აი ახალი თევზიც ახლავე მოიხარშება, აი, იმ გლეხ-კაცმა რო მოგართვათ.

თევზის გაგონებაზე ტიტიკოს პირში ნერწყვი, მოუვიდა, მამასახლისმა ტუჩები ჩაილოკა, მადა ერთი-ორად ალეძრა და დასძინა: მე, კაი კაცო, თუ-კი რამე გაქვს, მოიტა, რაღას გვალოდინებ!?

— ვა! დალოცვილი შვილო, ქრთამათ მოტანილი თევზი ჩემს ჯიბეს რა ხეირს მისცემს, რო მოგიტანოთ. სხვა არა იყვეს-რა, ბიჭი სცდება და შემა და მარილი კიდევ ჩემი მეტი წავიდა,—უპასუხა გასპარამ მაცდურის ღიმილით, ისე რო არ ეწყინოთო და ისიც აგრძნობინა ტკბილის ენით, რომ რაც ჩემს ჯიბეს არას შეჰმატებს, იქ მე თავს არ გავიცხელებო.

მოხელე მიუხვდა მიკიტანს ეშმაკობას და შუბლ-შეკრულმა უპასუხა:

— კაცო, მუნათი-კი არა გაქვს, რო მუცელსაც იძლობ, ნახევარი შენა გრჩება და ფულსაც გვახდევინებ?! რაც მოაქვთ, ხო შუაზე გიყოფთ!?

— ვა! გეხუმრებით, ჰალალი იყვეს თქვენზე! ვინ რას გეუბნებათ?

ესენი რომ ამ ყოფაში იყვნენ, გაიღო ოთახის კარი და ნაცვალი შემოვიდა. ეს იყო ტან-დაბალი, ჩარგვალებული, ღვინისაგან სახე-გაჭირხლებული და თვალებ დაჯირკვებუ-

უხსნიდნენ მოწაფეებს საყურადღებო ნაშთებს. განსაკუთრებული ყურადღება თამარ დედოფლის სატახტო დარბაზმა მიიპყრო. დაბრუნებისას ერთმა მოწაფეთაგანმა ვაგონში წაიკითხა უფლის-ციხის შესახებ ფრიად საყურადღებო რეფერატი, რომლისთვისაც მას უსარგებლნია ქართულ, რუსულ და ფრანგულ წყაროებით.

◆ მოქალაქეთა რწმუნებულთ ამას წინედ ამოარჩიეს თავის მხრივ ობოლთა სასამართლოს წევრებად ა. ადამიძე და ნ. ნარიმანოვი. ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ამორჩეულნი.

◆ საერო განათლების სამინისტროს შეუწყნარებია ტფილისის საბჭოს შუამდგომლობა, რომ ერთ-ერთ ტფილისის პირველ-დაწყებით სკოლას ნ. ვ. გოგოლის სახელი ეწოდოს.

◆ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში დიდი ცვლილების მოხდენა განუზრახავთ. აზრადა აქვთ, ამ შენობაში სინოტივე მოსპონ, რამდენიმე შენობა სრულებით უნდა დაქციონ და ახალი ააგონ სულით ავადმყოფთათვის. ყოველსავე ამას, როგორც გამოუანგარიშნიათ, 200,000 მ. დასჭირდება.

◆ „Тифл. Лист."-ის მეორე რედაქტორად ნაფიცი ვექილი კ. ი. ქალანთაროვი დაუმტკიცებიათ.

◆ „ჰუტემბერგის" სტამბაში იბეჭდება უცხო სიტყვათა ლექსიკონი იოსებ იმედაშვილისა; როგორც გადმოგვცეს, ლექსიკონში 20,000-დე სიტყვა იქნება.

◆ ამ თვის ექვსს, ტფილისის მიხეილის სამკურნალოში, ჩვეულებისამებრ გარდახდილ იქმნა საავადმყოფოს ეკლესიაში პანაშვიდი თ. ევსევი ალექსანდრის ძის ბეგთაბეგოვის სულის მოსახსენებლად, რადგან ამ წელსაც განსვენებულის დამ, კ. ნინო ალექსანდრეს ასულმა, კვალად შესწირა ასი თუმანი ფული სასარგებლოდ საავადმყოფოში განკურნებულ საწყალთა და ღატაკთა.

ეს შესაწირავი, მართლადაც და დიდი ნუგეშია იმ საწყალთათვის, რომელთაც არავითარი საღსარი არა აქვთ განკურნების შემდეგ ან სოფელში წასასვლელად, ან მოჭრილის ფეხის საყიდლად, ან მკლავისა, ან ცხვირისა, ან ვერცხლის სასუნთქველისა, ან ტანისამოსფეხთსაცმელისა, ან საცხოვრებლად რამდენსამე დღეს მაინცა. უფროსი ექიმი ბ-ნი პავლოვსკი ან მისი მოადგილე, უნიშნავს ამ თანხიდან დიდსა და პატარასა, რომელსაც მართლა დახმარება და შველა ეჭირვება. ფეხზედ მყოფნი ავადმყოფნი ბოლომად დაესწრნენ პანაშვიდს დ გულის წმიდით ამბობდნენ: „ღმერთმა გაანათლოს, საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს, ნათლით შემოსოს მისი სული!" პანაშვიდს დაესწრნენ აგრეთვე მიცვალებულის და კნ. ნინო ალექსანდრეს ასული ბეგთაბეგოვისა, უფროსი ექიმი სამკურნალოსი და სხვანი.

◆ ბავშვთა პირველ თავშესაფარის მზრუნველმა აცნობა 7 ამ თვეს ქალაქის გამგეობას, რომ თავშესაფარი ავლაბრიდგან დიდუბეში გადვიდა. ამასთან სთხოვა გამგეობას, ქალაქის წყლის მილიდგან, როგორც ავლაბარში, წყალი უსასყიდლოდ ეძლეოდეს.

◆ ტფილისის სამხედრო საფერშლო სკოლაში ეგზამენები მაისის 27 დასრულდა, სწავლა დაუმთავრებია 33 ყმაწვილს, რომელნიც ერთის თვით სამხედრო ჰოსპიტლებში იქნებიან გაგზავნილი პრაქტიკულ ცოდნის შესაძენად, რის შემდეგაც მიიღებენ ფერშლის წოდებას და სამსახურში ჩაირიცხებიან.

◆ მიმდინარე წლის მარტის 30 რიცხვიდგან ქ. ტფილისში უკვალოდ დაიკარგა ოზურგეთის მაზრის სოფ. ჯვარცმის მცხოვრები ნესტორ მაქსიმეს ძე ჟღენტი. ნ. ჟღენტი რამდენიმე წელიწადი ტფილისში სცხოვრობდა. ბოლოს დროს იგი ფავლენიშვილის სახლში იმყოფებოდა, ამათუნის ქუჩაზე მე-8 ნაწილში. 30 მარტს იგი სოფ. საგარეჯოდგან დაბრუნდა, მოვიდა ზემოხსენებულ სახლში და იმავე დღეს სადღაც გაჰქრა; მას შემდეგ მისი ამბავი აღარავინ იცის. ბინაზე ნახეს მის მიერ დატოვებული ბილეთი (პასპორტი), ქაღალდები და მათ შორის ბარათი ამხანაგის სახელობაზე, რომელსაც ეთხოვებოდა და ავალებდა დროებით უმცროსის ძმის პატრონობას. მას შემდეგ დაეძებენ დაკარგულს, მაგრამ ვერ უპოვნიათ. ნ. ჟღენტს დარჩა მოხუცი დედა, ერთი პატარა და და ორი ძმა. ნ. ჟღენტი 25—26 წლის კაცია, საშუალო ტანისა, პირმრგვალი; წვერ-ულვაში წაბლის ფერი აქვს. მიზეზი დაკარგვისა ჯერაც არ იციან.

# ალაგობრივი

## ცხოვრების ამბები

გორის მაზრის სოფ. მეჯვრის-ხევში ახლად გახსნილ სასოფლო სამკურნალოში დაუნიშნავთ ექიმად დ. ვაშაკიძე, რომელმაც შარშან დაამთავრა სწავლა დორპატის უნივერსიტეტში.

—

10 ამ თვეს ქ. გორს მიემგზავრება ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სხვათა შორის, სესსია თორმეტს ამ თვეს განიხილავს საქმეს ქარელის ეკლესიის გატეხის შესახებ.

—

თიბათვის შვიდს, ღამე, ავჭალაში გაუტეხიათ წმ. მიხეილ მთავარ-ანგელოზის ეკლესია და გაუტაცნიათ მრავალი ძვირფასი საეკკლესიო სამკაული. ალბად დიდად დახელოვნებულნი ყოფილან გამცარცველნი, რომ არც რკინის გზის სიახლოვეს მოჰრიდებიან დ არც ეკკლესიის დარაჯს, რომელსაც იქვე აქვს ბინა. გამოსაძიებლად მეორე დილითვე წავიდა მაზრის უფროსის თანაშემწე.

—

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მარტყოფის ეკკლესიის გამძარცველ ავაზაკთათვის უკვე მიუგნია და შეუპყრია მაზრის უფროსს თავ. ჯანდიერს.

—

**ს. ალიდგან** (გორის მაზრა) გვატყობინებენ: აქაური წიგნთ-საცავ-სამკითხველო ცუდ მდგომარეობაშია საკუთარ შენობის უქონლობისა გამო. სამკითხველო მოთავსებულია ადგილობრივ მღვდ. ის. მაჭარაშვილის სახლში, რომელიც თითქმის სულ დაკეტილია. საკვირველია, რატომ არავინ კისრულობს სამკითხველოს განთავისუფლებას ამ სატუსაღოდგან.

—

**კახეთი.** გლეხი, როდესაც მიწას ებრძვის არსობით ლუკმა პურის საშოვნელად, თან მაღლა იყურება და ცას შეჰყურებს, აბა, როგორი ამინდი უდგება ჩემს ნახნავ-ნათესსა ან ჩემს ვენახსაო. საზოგადოდ, კახელის გლეხის საქმე მარტო ხვნა-თესვა და მევენახეობაა. აი ეს ორი დარგი სასოფლო მეურნეობისა არის მთელის მისის ცხოვრების წყარო. ამიტომ მუდამ მისი სათხოვნელი ღმერთთან ის არის, —ცა და ღრუბელი დამიმშვიდეო.

წარსული წელიწადი ხომ უმოსავლო წელიწადი იყო ღვინით თუ პურით კახელებისათვის, რამაც ხალხი ყოვლის მხრივ შეაწუხა. მართალია, წარსული წელიწადი უმოსავლო წელიწადი იყო, მაგრამ ამ მიმავალ წლის მოსავლისათვის მშვენიერი ჩინებული ამინდები ჰქონდა შემოდგომაზედ. როდესაც დაფარცხა ყველამ, მეორე-მესამე დღეს მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა მოუვიდა გადაფარცხულ ხნულებს, რაიცა დედის რძესავით შაერგო და ორის კვირის შემდეგ მარცვალმა ამოჰყო მაღლა თავი და გადაამწვანა ხნულები. ვენახებსაც ასეთივე ამინდები ჰქონდა, მაგრამ გაზაფხულის პირველი რიცხვები-კი ჯეჯილებსა და ვენახებს ერთნაირად არ მოუხდა. ვენახებში ცივმა აპრილის დღეებმა კვირტს ცოტა არ იყოს ზარალი მისცა, ყანებს-კი ისე მოუხდა ეს ამინდები, რომ მეტის სიხშირისა და სიმაღლისა გამო საქონელს და ცხვარს ერეკებოდნენ შიგ გადასაძოვნელად. თავ-თავ-დასხმული ყანები თითქმის საზოგადოდ მთელ კახეთში ისეთებია, რომ მიწაზედ არ ეტევა. ამინდებმა ძალიან შეუწყო ხელი პურის მოსავალს.

პურის მოსავალთან თუ ღვინის მოსავალიც გლეხებმა უნაკლულოდ ჩაიკლეს, მაშინ აღარა უჭირთ-რა, ამოავსებენ დიდი ხნის აუმსებელს გოდორ-ბეღლებს და შარშანდელს გაუმსებელ ქვევრ-ქოცოებს ყელს მოუღერებენ ღვინის ჩასასხმელად.

არა წელიწადს კახელ კაცს წამლობის დროს ვენახებისათვის ხელი ისე არ შეუწვია, როგორც წელს შეუწყო ხელი. ყველამ თავის დროზედ უწამლა. ყველას ორ-ორჯერ აქვს ნაწამლი. ჯერ-ჯერობით ძალიან საღად არის ვენახები, ასე რომ, წინად ამ დროს ვაზის ფოთოლს სხვა-და-სხვა სენი ჰქონდა გაჩენილი, მასთან მტევნები გაგანგლული იყო ნაცარში, ეხლა-კი ვაზი საღად არის და ფოთოლი ლურჯის ლილასავითა აქვს.

შეიგნეს, შეიგნეს კახელებმა, რომ ვენახების შეწამვლა სწორედ აუცილებელი საჭიროებაა. ის-კი ვერ შეუგნიათ, რომ გოგირდს და შაბიამანს, რომელსაც თელავში კერძო მოვაჭრეთაგან ყიდულობენ, რა განსხვავება აქვს იქვე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან დაარსებულ საწყობის გოგირდ-შაბიამანთან შედარებით. არ იციან, რომ კერძო მოვაჭრეთაგან გაყიდული შაბიამანი და გოგირდი უფრო დაბალის ხარისხისაა, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საწყობის გოგირდი და შაბიამანი. კარგს იზამენ ამას შემდეგ ყველა მემამულენი, გოგირდისა და შაბიამანის სიძვირეს არ დაერიდებოდნენ და იყიდდნენ სამეურნეო საზოგადოების საწყობში, რაიცა უფრო ხელს მისცემთ.

კოტე სეხნიაშვილი.

—

**ქ. თელავი.** ჩვენი ქალაქი მდებარეობით და სისადით არ ჩამოუვარდება საქართველოს არც ერთს ქალაქს. ეს დიდი ხანია შეამჩნია პატივცემულმა საზოგადოებამ და ამიტომ საგარაკოდ ბევრი მათგანი ეწვევა ხოლმე ზაფხულობით თელავს. მაგრამ ბუნების ასეთ ხელ-გაშლილ მოწყალებას ჩვენის ქალაქისადმი ღირსებას უკარგავს უყურადღებო ადამიანი. სამოქალაქო ბაღი, რომელიც მდებარეობს შუაგულ თელავში და რომელიც ყოველ საღამოობით მოსეირნე ხალხით ივსება, აი სწორედ ეს ბაღი განუწყვეტლივ მოცულია მტვრის შავი ღრუბლით; ეს მტვერი ბაღის მეზობელ უმთავრეს ქუჩიდგან მოდის. რა კითხვა უნდა, სწუხდება ამით მოსეირნე ხალხი და უნდა მოგახსენოთ, ძალიანაც სწუხდება. მაგრამ ამ მის წუხილს აქცევს ვინმე ყურადღებას? სულაც არა. ჯერ ამ ქუჩას ცოცხი არ უნახავს შამილის დაჭერის აქეთ. მართლა ღვთის წინაშე გუბერნატორის მოსვლისათვის კი დაჰგავეს. აბა, მორწყვას, რაღა თქმა უნდა, არავინ აღირსებს, თუ თითონ ცამ არ შეიბრალა ჩვენი ხახა და ტანთ-საცმელი და არ მოგვივლინა ხოლმე ზეცით წვიმა. აი, ეს ორი კვირა იქნება, რადაც შევცოდეთ და ცა ჩვენ ყურს აღარ გვიგდებს, წვიმა აღარ მოდის და ვიხრჩობით მტვრით. კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, ამ ჩვენს გაჭირვებას ყურადღება მიაქციოს და აღირსოს ბაღის მომიჯნავე ქუჩას მორწყვა და დაგვა.

Z.

—

### ახალნი წევრნი ქუთაისის სათ.-აზნაურო ბანკის განახლებულ ზედამხედველ კომიტეტისა *)

(ამორჩეულნი რწმუნებულთა კრებაზე ივნისის 5-ს)

**თ-დი სიმონ გიორგის ძე წერეთელი** შვილია ქუთაისის გუბერნიის მეორე (პირველი თ-დი ლ. გურიელი იყო) წინამძღოლისა; კურსი დამთავრებული აქვს პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. დიდხანს მსახურებდა სასამართლო უწყებაში გამომძიებლად, მომრიგებელ მოსამართლედ (კახეთში) და ბოლოს ტფილისის ოლქის სასამართლოში წევრობის თანამდებობის აღმასრულებლად. შემდეგ იყო ნაფიც ვექილად ტფილისში.

მეოთხმოცე წლებში პირველად დაასახელეს მისი კანდიდატურა გუბერნიის მარშლობაზე. ამ თანამდებობაზე იმ ჟამად იყო ხელმწიფის ამალის გენერალ-მაიორი ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი, შვილის-შვილის-შვილი იმერეთის მეფის სოლომონის II ცნობილის სახლთუხუცესის ზურაბისა...

ის დრო იყო მაშინ, როცა პურ-ღვინოს და ფეშქაშებს დიდი გავლენა ჰქონდა ქუთაისში არჩევნების დროს და ნესტორ წერეთლის სუფრის სიუხვე ხომ განთქმული იყო... ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ თ-დის სიმონის კანდიდატურამ ვერ გაიმარჯვა იმ ჟამად, თუმცა ყველა წინადადებანი მოწალმართე დასისაგან წარმოდგენილნი და მათ შორის შესანიშნავად დამუშავებული და დასაბუთებული მოხსენება დავით ნიკოლოზის ძის ბაქრაძისა —საერობო დაწესებულების შემოღების შესახებ ჩვენში ხმის უმეტესობით შეწყნარებულ იქმნა კრებისაგან.

განსვენებულის დიმიტრი ყიფიანის შემდეგ, რომელიც თვისდა უნებურად მოშორდა იმერეთს, გუბერნიის მარშლობაზე კანდიდატებად დაასახელეს დავ. ნიკ. ბაქრაძე და თ-დი სიმონ გ. წერეთელი. ინტელიგენციის გუნდმა ქუთაისის ახალგაზრდობისა კერძო თათბირი გამართა კენჭის ყრის წინა ღამით კ. ჩიქვაიძის სახლში, რომ მათი ძალ-ღონე ორად არ გაყოფილიყო და ერთის კანდიდატურაზე შეჩერებულიყვნენ. ხმის უმრავლესობით, რომელშიაც ერია აკაკიც, გადასწყვიტეს იმ ჟამად ყველანი დავით ნიკ. ბაქრაძეს მიმხრობოდნენ.—სიმონ წერეთლის გატაცებულნი მომხრენი, როგორც მაგ. დ. ა. მიქელაძე და სხვ., არ დასთანხმდნენ ასეთს განაჩენს, მეორე დღეს მაინც დაუდგეს ყური—თ-დს სიმონს, რომელიც დიდის ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლად... იმავ წელშივე ამორჩეულ იქმნა ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრად და თავმჯდომარედაც.

მას უკან შარშანდლამდე, თორმეტის წლის განმავლობაში, იგი შეძლებისამებრ ერთგულად ასრულებდა თავისს მძიმე თანამდებობას.

1893 წლის განმავლობაში პეტერბურგის გაზეთებში ჩვენს შესახებ დაბეჭდილ წერილების წინააღმდეგ სიმონ წერეთელმა სათავად-აზნაურო მორიგს კრებაზე წაიკითხა ისეთი სიტყვა, რომელმაც მიიქცია მთელის რუსეთის მოწინავე მწერლობისა და უმაღლესის მთავრობის ყურადღებაც. შემდეგს 1894 წ., იმპერატორის ნიკოლოზის გვირგვინის კურთხევის დროს, ებოძა მას უმაღლესის კარის კამერჰერობა.

როგორც გუბერნიის წინამძღოლმა, მან ითავა, ილძრა და ხელმეორედ, თითქმის ერთხმად, გადააწყვეტინა თავად-აზნაურთა კრებას, რომ ეთხოვოს უმაღლესს მთავრობას, რათა ჩვენშიაც შემოღებულ იქმნას საერობო დაწესებულება და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი...

თ-დის სიმ. გ. წერეთლის წინამძღოლობის დროს 1895 წ. საშინელმა წყალდიდობამ აოხრა იმერეთის დიდი ნაწილი (რკინის გზის ლიანდაგიც): ყანები, ვენახები და ზოგან სახლებიც იმსხვერპლა ულმობელმა სტიქიონმა. თ-დის სიმონის თაოსნობით, უმაღლესის ნებართვით და დიდის მთავრის თავმჯდომარეობით შესდგა დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი, რომელმაც არა ერთსა და ორს დამშეულს გაუმართა ხელი...

მისისავე წინამძღოლობის დროს და მისისავე თავმჯდომარეობით ირჩეოდა ქუთაისის თავ.-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში ოდიშის თავად-აზნაურობის წოდებაში დამტკიცების საქმე, რაც შეჩერებულ იქმნა უმაღლესის ბრძანებისამებრ ამ ორის წლის წინად...

როგორც წევრი და თავმჯდომარე სათ.-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა, მან საკმაოდ იღვაწა და ბოლოს, როგორც წინამძღოლმა, შესძლო კიდეც დაემხო ის უკუღმართი ძალა, რომელსაც უკუნეთის თავდაღმართისკენ მიჰყავდა ამ საკრედიტო დაწესებულების საქმე...

თ. მაგმაძე.

(შემდეგი იქნება)

—

**ნინო-წმინდა** (ტფილისის მაზრა). ჩვენი სოფელი ივრის მარცხენა ნაპირზეა ვაკე და გაშლილ ადგილას, აქვს წმიდა ნინოს სახელობაზედ აგებული ეკკლესია, სამრევლო სკოლა და სოფლის სასამართლო. სოფელში სამასამდე მეკომურია და ყველას კარგი ქვითკირის სახლი აქვს; ასე რომ თუ შემთხვევით უცხო ვინმემ დაინახა, უეჭველად იტყვის: ეს სოფელი მდიდარი და შეძლებული უნდა იყოსო. მაგრამ, ეტყობა, ჩვენს სოფელზე უთქვიათ ნათქვამი: შორიდგან მტერს უშენებს თვალს და ახლო მოყვარესაო.

მიზეზი სიღარიბისა არის მოუსავლობა. სამასი კომლში სულ ხუთს მეკომურს არ მოსვლია წლის საზრდო, სხვებს სამი ოთხი თვის სამყოფიც არა ჰქონდა და იძულებულნი იყვნენ, თითო შაურობით ნაყიდი პურით გამოეკვებათ თავიანთი ცოლ-შვილი. შიმშილით გაჭირვებული რას არ იზამს: ზოგი იღებს უცხო სოფლებში ვალს და გაჭირვებაში

---

*) იხ. „ივერია" № 118.

---

ლი კაცი. ძლივს-ღა ჰქშინავდა. მაგრამ რა დაინახა მამასახლისის მწერალი და ტიტიკო, ცოტა არ იყოს, ეწყინა, მაგრამ მალე დაიმშვიდა გული და მამასახლისს მიჰმართა:

— როგორც იყო დავიყოლიე ის ვაჭარი, თუმნის მეტს არ გვაძლევდა. ეხლაც იმ დედაკაცს უნდა გადაახდევინო იმის სასარგებლოთ სამი თუმანი. თხუთმეტი მანეთი ჩვენ უნდა მოგვცეს გასამრჯელოდ. ყველაფერი აუხსენ: სარგებლის სარგებელს ახდევინებ საცოდავ ღარიბ ქვრივ-ოხერ დედაკაცსა-მეთქი! აბა, რომელი ნაღდი ფული შენ მიგიცია-მეთქი? ქმარი რომ მოუკვდა, სამარხად ზოგი რა დაგიხარჯებია, ზოგი რა-მეთქი. ახლა ისიც დაუმატე, რომ შენს თამასუქს აღარაფერი ძალა აღარ აქვს, თუ კანონის ზაკონით იჩივლებ გროშსაც ვერ მიიღებ-მეთქი. ხა, ხა, ხა! ახლა შენი საქმეა, მამასახლისო!

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ტატო!—ასე ეძახდნენ ნაცვალს,—შესძახეს ყველამ ერთხმივ და დაუმატეს:—შენ უფრო კაი საქმე გაგიკეთებია ჩვენზედა, კაი მელაც დაგიჭერია და ღირსი ხარ აზამბარში გამოგიყვანოთ. აბა, მოიტა ერთი სკამი და დაჯექი.

ნაცვალსაც არ დაუგვიანია დიდ ხანს, მიჯდა მაგიდასთან და შეიქნა სმეულობა, სიმღერა და ლხინი.

მოხელენი რომ ზემოხსენებულ დროს გატარებაში იყვნენ, დუქნის კარებ წინ იდგა ჯოხზე დაბჯენილი, ძალზე მოხუცებული გლეხი ნინიკა უძლურაძე. შრომისაგან დაღარულ შუბლზე ხვითქი ჩამოსდიოდა და დაძმარებული დასცქეროდა დედამიწას; გარინდებული იყო და მისცემიყო ღრმა, მწვავე ფიქრებს. კარგა ხნის შემდეგ აიღო მაღლა თავი, ჩაიქნია ხელი და გულზე ცეცხლბოლმა მოკიდებულმა წაილუღლუღა:

— იკურთხოს, იდიდოს ჩვენი ხემწიფე! რეები არ ხდება ქვეყანაზედ!? ის დალოცვილი, რას იგებს, რა უსამართლობაა ამ ჩვენს სოფლებში ისევ ჩვენი მოძმეებისაგან!. ამაზეა ნათქვამი აი: დაჰკა უბედურსაო!.. ბეჩავს გლეხებს რომ პატრონი გვყავდეს, შინაური და გარეული არ გაგვქელამდა. ცარიელი სიტყვით-კი ზოგნი ჩვენკენ არიან, მაგრამ საქმით-კი თავის ჯიბისთვის ცდილობენ. ეეჰ, ღმერთო! დაილოცა შენი სამართალი.

კაშკაშა მთვარე კარგა ხნის ამოსული იყო, რომ ჩვენი მოსამართლენი ძალზე გალექილები გამოვიდნენ ბარბაც-ტორტმანით გარედ. ნინიკა წადგა წინ ქუდ-მოშვლეპილი ბეჩავად, მდაბლად თავი დაუკრა ყველას და ერთი მძიმედ ამოიოხრა, თითქო გულ-გვამი თან ამოადევნაო.

— რა იყო, ნინიკა, რა გაგჭირვებია ისეთი, რო ამ დროს აქ მოსულხარ?—ჰკითხა ტიტიკომ თვალების ბლეტით.

— ბატონი ადღეგრძელა ღმერთმა!—ამოოხრითვე უპასუხა ნინიკამ და დასძინა:—რა არ გაგვჭირებია, შენი ჭირიმე, ცოტა რამ გვიჭირს? მაგრამ ვინ არის ჩვენი პატრონი!? ემა მამასახლისთან გიხელით, ცოტა რამ საჩივარი მაქვს. ეს ორი დღეა დავეძებ, ჯერ სულ ვერა ვპოულობ და, თუ ვიპოვნი, ნასვამს და კი ვერას გავხდი და!..

— მაინც რა საჩივარი გაქვს?

— რაღა რა, შენი ჭირიმე! ვენახი და ნათესი მიხმება მოურწყაობით. გახმა, გაოხრდა შენი ჭირიმე, და წყალს არ მანებებენ, ლამის მთელი წლის სარჩოზე ხელი ამაღებინონ, ერთი მარტო-ხელი, ჯან-გატეხილი კაცი გახლავარ, მტერსაც იმითი უნდა გაუძლვე და მოკეთესაც. ი ჩემი უბედური გიგლას წირვაა და ჯერაც არ გადამიხდია.

— განა მოგიკვდა, შე საცოდაო, ის ერთად-ერთი შვილიცა!?—ჰკითხა მზრუნველობით ტიტიკომ.

— ბეგარაზე ჰყავდათ, შენი ჭირიმე, არ ვიცი, გაცივდა, თუ რა დაემართა, მოვიდა თუ არა, ავათ გახდა და თქვენი ჭირი წაიღო. დავრჩით ორი მოხუცებული ადამიანი უნუგეშოთ, უპატრონოთ. ის რომ მყავდეს, რაღა მიჭირს, შენი ჭირიმე,—უპასუხა თვალცრემლიანმა ნინიკამ.

— კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ?! რა დროს საჩივარია ამ შუაღამისას?! ხვალ მოდი კანცელარიაში და, თუ საჩივარი გაქვს რამე, იქა სთქვი, შეუტია წყრომით მამასახლისმა. მერე ამოიღო ჯიბიდგან რის ვაი-ვაგლახით და ტორტმანით წითელი ხელსახოცი და ღვინისაგან გაჟღენთილ პირისახეზე ოფლი მოიწმინდა. თან ხელს იცემდა გვამზე.—გაძღომაც ამასა ჰქვიან აი, მე და ჩემმა ღმერთმა, შემდეგ ისევ წყრომით მიუბრუნდა ნინიკას: ჰმ! არ გეყურება, გამოჩერჩეტებულო? რა ეშმაკივით გადამკიდებიხარ? არ გესმის, რომ გეუბნები, ხვალ მოდი მეთქი!?.

— შე, დალოცვილო, იქ რამდენჯერ ვიყავი, რო ყურიც არ მიგდე. იმ დღეს არ იყო გზირებმა მათრახის ცემით გამამაგდეს, მამასახლისს შენთვის არა სცალიანო!

— მაშ, არ-ადა, შენმა სიცოცხლემ, შენს მეტი საქმე აღარა მაქვს! უპასუხა წყრომით მამასახლისმა და თან ენას ურევდა.

— აბა, ჩემო ნინიკა, ეხლა რაღა დროა, ხვალ მეც კანცელარიაში ვიქნები და მოდი, უთხრა ტიტიკო უქმაძემ დაყვავებით.

— თქვენი იმედი მექნება, ბატონო, თორემ ეგენი მე არას გამირიგებენ, დაუკრა მდაბლად თავი ნინიკამ და წავიდა. მოქეიფენიც გაუდგნენ გზას. გასპარა დაედევნა დანახარჯისათვის, მაგრამ, რაკი ყური არავინ ათხოვა, შევიდა დუქანში და თავის გულში სთქვა „არ მამცემთ და ერთი სამათ თუ არ მოგაწეროთ დანახარჯი, რაღა კაცი ვარ. უფრო კარგი! ბევრი გეცოდინებათ, რაც დახარჯეთ! თან გაჯავრებულმა მაღალი ხმით დაუმატა:—ვა! მაშ, მამიჩემის გეურქას ანდერძი გავტეხო რაღა! რო კვდებოდა ცხონებული, იმას მეხვეწებოდა: აბა, შენ იცი, ჩემო გასპარჯან, როგორც არავის დაეჩაგვრინები, წინათ მე გროშიც არა მქონდა, მაგრამ ჩემი ოინებით და ტკბილი სიტყვით სულელებისაგან იმდენი სიმდიდრე შევიძინე, რომ დედაშენი ხამფერუას ბაზორზე და ჩემ პრტყელ ვერცხლის ქამარზე მტერს თვალები უბრმავდებოდა. ვა! დალოცვილებო, სოფლის ბობოლები ვართო, უნდა ვსვათ, ვჭამოთ და ფული-კი არ გამოვართვაო, სად გაგიგონიათ! ტერასტვაც!! გაბოროტებულმა, რომ ცოტა გვიან მიიღებდა მამასახლისისაგან ფულსა, გადიწერა რამდენჯერმე პირჯვარი და მოჰკეტა შიგნიდგან მაგრა დუქნის კარები.

## II

გათენდა მეორე დღე, კვირა. სოფელ №-ის სამმართველო კოხტად გამოიყურებოდა გაშლილ მწვანე ველზე. მისი არე-მარე სავსე იყო ხალხით. მოელოდნენ მამასახლისს, რომელსაც დაეგვიანა და არსადა სჩანდა. დიდი, პატარა, ქალი, კაცი უჩიოდა მოხელეების საქციელს და ისმოდა ერთი გუგუნ-ყაყანი აუარებელის ხალხისა.

— კაცო, ამდენი თრევით კანცელარიაში ილაჯი გაგვიწყდა!—დაიწყო ერთმა შუახნის კაცმა. ჩამოივლის გზირი: ხვალ უთუოდ კანცელარიაში უნდა მოხვიდეთ, მამასახლისი გიბარებთო. მოვალთ და სად ჯახრუ-ჯანაბაშია არი?! მოვალთ, ვყაყანებთ, ვყაყანებთ ხარო აშვებამდე და, რაკი არ მოვა, გავწევთ შინ. ერთი კაცმა გვითხრას, რაზე ვიკლამთ მშიერ თავსა და რათა ვცდებით?! ბიჭო, თუ გვიბარებენ, რაღათ გვაცდეინებენ მთელი დღე, დილოდინისაგან გულ-გაწვრილებულებმა, დაღალულ-დაქანცულებმა შინ რაღა უნდა გავაკეთოთ. დაიკარგება მთელი დღე მუქთად. რათაო, შვილო, რაზე გვაცდენენ?! მერე ერთხელ ხო არა, კვირაში სულ ცოტა, ორჯერ მაინც. ისიც ვერ გაგვიბედნია, რო უთხრათ: კაცო, რაღას გვიბარებდით და საქმეს გვაცდენდით, თუკი არც-კი მოხვიდოდით კანცელ

ჩავარდნილი რა სარგებლით ისესხებს,—ამას ყველა მიხვდება. ზოგი სესხულობს აგრეთვე პურს, ათს ხუთმეტად ან ერთს ორად, იმ იმედით, რომ ამ წლის მოსავლით დააკმაყოფილოს ყოველივე ხარჯი და მოვალეებიც.

წრეულს ყანები კარგი იყო და ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ თაგვი გაჩნდა და ძრიელ წაახდინა. მადლობა ღმერთს, თუ ხალხს მკის დროს ამინდმა ხელი შეუწყო.

ფულის უქონელი ხალხი იღებს ნისიათ აქაურ მედუქნეებისაგან ღვინოსა და არაყს, მედუქნეც აძლევს იმ იმედით, რომ მკათათვეში სამაგიეროდ პური აიღოს. მედუქნეებმა ლამის დუქნები დააცალიერონ და მკათათვეში პურს სამაგიეროთ აიღებენ თუ არა, ღმერთმა უწყის. ან ორის დღის ყანამ რომელი ერთი დააკმაყოფილოს: მედუქნეების ნისია, მოვალეები თუ სახელმწიფო გარდასახადი და სხვა-და-სხვა სოფლის მოთხოვნილობა, რომელიც ამ წელიწადს ადემატება კომლზედ ორ თუმანს? რასაკვირველია ამ წელიწადს შიმშილი უფრო მოსალოდნელია, ვიდრე შარშან.

მეორე მიზეზი სოფლის სიღარიბისა არის ქურდობა. ისეთი სოფელი სად მოიპოვება, რომ ქურდობა, ბევრი თუ არა, ცოტა მაინც, არ იყოს; მაგრამ, არა მგონია, ამ ჩვენს დალოცვილ სოფელს სჯობნიდეს ქურდობაში მუღანლოელი ან სხვა თათრები. ნინო-წმინდაში ქურდობა ზოგიერთს ჩვეულებად გადაქცეული აქვს და პატარები ქურდობას ისე ეჩვევიან, როგორც შეგირდი რომელსამე ხელობას სწავლობდეს. ქურდები აქ ბატონები არიან. ხალხი ქურდს შიშის გამო ხმას ვერ გასცემს, ან როგორ უნდა გასცეს, როდესაც იცის, რომ, თუ ქურდს ხმას გასცემს, მეორედ უარესს უზმენ, ან გადასწვენ. ამიტომაც ქურდობა თანდათან ხელობად იქცევა და ქურდებიც ისე ოსტატურად იქცევიან, რომ იშვიათი იქნება მახეში გაებან. და თუ როგორმე დაიჭირეს, ყველამ იცის, რომ მაგით ქურდს ქურდობას ვერ გადააჩვევენ. ქურდი ციხეში დიდხანს არ დარჩება. ციხეში ჯდომა იმისთვის დროს გატარებაა და როდესაც ციხიდგან გამოვა, ერთი ორად უმატებს ქურდობას.

ჩვენს სოფელში არის ქურდობაში სახელ-განთქმული სამი თუ ოთხი კაცი. ისე მოხდება, რომ რომელსამე ქურდობაში ეს ოთხი კაცი ალალმართალი იყოს ხოლმე, მაგრამ რადგანაც ერთხელ ხალხმა ეჭვი აიღო ამ ოთხ კაცზე, რაც დაიკარგება, სულ იმათ უნდა დაებრალოს, დაიწვება რამ ამ სოფელში მტრულად, იმასაც იმათ დააბრალებენ.

სოფელმა რამდენჯერმე სთხოვა პოლიციის ბოქაულს, ეშუამდგომლა, ვისთანაც ჯერ იყო, მიეცათ ნება განაჩენის დადგენისა საეჭვო კაცების სამუდამოდ გადასაკარგავად. ბ-ნმა ბოქაულმაც იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ სოფელთ დაედგინათ ამ გვარი განაჩენი, და არ ვიცი მთავრობამ ეს თხოვნა შეიწყნარა თუ არა. მაგრამ რომელი ერთისათვის დაედგინათ ამ გვარი განაჩენი და რომელი ერთი უნდა გადაასახლონ? ქურდი არა ერთია და ყველადვე ქურდობაში სახელგანთქმულს კაცს რამდენი ახლად გაწვრთნილი შეგირდი სჯობნის და მგონია კიდეც, ის ოთხი საეჭვო კაცი, უწინ თუ ყოფილა ქურდი, ეხლა ეგების აღარ ქურდობს, ბურთი და მოედანი-კი შეგირდებს დარჩათ.

ამ ხუთმეტის დღის წინად ერთს აქაურს მეკომურს ქიტა როსტომაშვილს ღამით მოჰპარეს ორი ცხენი. ამ ორი ცხენის დაკარგვა, ძველის საეჭვო კაცებისათვის შეიქნა სასარგებლო, რადგანაც ახალი ქურდების ჩარხი უკუღმა დატრიალდა. რაკი ახალ მოსწავლე ქურდებზედ ეჭვი მიიტანეს, ამათ თავიანთი დანაშაული თვითონვე აღიარეს, გამოართვეს ცხენების პატრონს ორი თუმანი ფული; ასწავლეს მამასახლისს, რომ ცხენები ყოფილიყვნენ ვიღაც თათრის ხელში; გაგზავნეს ერთი კაცი და მესამე დღეს დაკარგული ცხენები მოაყვანინეს და ის ორი თუმანი ფული გაუგზავნეს თათარს. ამ გვარად პატრონს თავისი საკუთარი ცხენები სასყიდელი გაუხდა.

როდესაც ცხენები მოაყვანეს უქმე დღეს, როდესაც მთელი სოფლის დიდი და პატარა სასოფლო მოედანზედ იყო შეყრილი, მოიყვანეს ახალი ქურდები და მთელმა სოფელმა დაუწყო ცემა. იმდენი სცემეს, მინამ თითო კაცმა ორჯერ და ზოგმა სამჯერ არ დაჰკრა; ზოგმა კიდეც წააქცია ქურდები და ფეხებით დაუწყო ცემა. რა დაინახა ასეთი ცემა მამამ თავისი შვილისა, უნდოდა შვილს მიჰქომაგებოდა, მაგრამ სოფელმა ქურდის ჯავრი მამაზედ ამოიყარა და ამგვარ მამას დააყენეს ის დღე, რაც დღე ადგათ ქურდებს. ზოგმა ქურდმა აიტანა ცემა, ზოგიც ავად იყო მწოლიარე სამი თუ ოთხი დღე, მაგრამ,—ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო,—ავადმყოფსაც აგრე მოუვიდა: სამი დღის უკან ისევ ადგა, და ვინ იცის, მოიშლის თავის ხელობას თუ არა?

ამ ერთის თვის წინად მოხდა მამასახლისის არჩევა და მთელმა სოფელმა ერთხმად ამოირჩია ისევ ძველი მამასახლისი ალექსი სამხთუაშვილი და მის მოადგილედ ივანე შიოშვილი. მამასახლისს სოფელმა დაუნიშნა შესაფერი ჯამაგირი. იმედია, მამასახლისი სოფლის იმედს არ გაუცრუებს, თავის სამსახურს მხნედ და მუყაითად შეასრულებს და კვლავაც ისე მოიქცევა, როგორც ეხლა ამ ცხენების და ქურდების აღმოჩენაში.

ერთ თვეზე მეტია მთელი სოფელი მოკლებულია სასმელ წყალს, როგორც ხალხი, ისე საქონელი. ხალხი იძულებულია სასმელი წყალი მოშორებულ ადგილიდგან ჰზიდოს. სასმელად კიდევ ხალხი იოლათ წავა, რადგანაც წყარო არ არის ძლიერ მოშორებული,—საქმე სარწყავი წყალია, რომელიც ძლიერ საჭირო არის სოფლისთვის ბაღების მოსარწყავად. მართალია, სოფელში არის დანიშნული წყლის ნაცვალი და მერუეებიც, რომლებმაც უნდა განაგონ ეს საქმე, მაგრამ ისინი ამ საქმისათვის ყურსაც არ იბერტყავენ და მამასახლისმაც რომ ყური აღარ უგდოს, ხალხს თუ არა დაუშავდება-რა, ბაღები სულ ერთიანად გახმება. სოფელმა ორჯერ მოინდომა წყლის გამოყვანა და კიდეც გამოიყვანა, მაგრამ ორჯერვე მეორე დღეს წყალი ისევ დაწყდა.

აქეთ, როგორც ვთქვით, მოსავალს კარგს მოელიან ამ წელს, და მართლაც კარგი სჩანს პური, ქერი და სიმინდი. სიმინდის თოხნა გათავდა და ეხლა არის გაჩაღებული მკა. ყურძენს ნაკლებად ასხია. წინა წლებში, როდესაც ხალხს ბლომა ადგილი ჰქონდა დათესილი, ასეთი პურის მოსავალი ყოფილიყო, როგორც ამ წელიწადს,—ღვთის მოწყალება იქნებოდა, მაგრამ კომლზედ ორი დღის ყანამ რა უნდა უშველოს ასეთს გაღარიბებულ ხალხს?

30-ს მაისს მოვიდა კოკის-პირული წვიმა, ასე რომ სულ ხუთის წამის განმავლობაში დაჰფარა წყლით მთელი სოფლის ადგილი და გზები, თან მოჰყვა ელვა და ქუხილი და ბოლოს სეტყვა, რომელმაც ხალხი ძლიერ შეაშინა. შიშის მიზეზი ის იყო, რომ ამას წინად ვიღაც მკითხავს უთქვამს ერთი დედაკაცისათვის: წარღვნა უნდა მოვიდესო. ამ დედა-კაცსაც გაუგებინებია თავის მეზობლებისათვის. ღვთის მადლით წვიმასა და სეტყვას დიდი ზარალი არა მოუცია-რა მოსავლისათვის, მხოლოდ გზები-კი ძლიერ გააფუჭა.

პლატონ ეწერელი.

# კავკასია

ქ. ბაქოში დრო-გამოშვებით გამოცემათა ცენზორის მოვალეობას დღემდე ბ-ნი ვიცე-გუბერნატორი ასრულებდა, მაგრამ საქმე მეტად გართულდა და ამისათვის ბ-ნმა გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა მთავარ-მართებლის წინაშე, რათა ეს მოვალეობა სხვას დააკისროს. მთავარ-მართებლის საბჭომ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა და ცენზორობის მოვალეობა ბაქოს საგუბერნიო სამმართველოს წევრს, ბ-ნს ტერენტიევს დაავალა.

ამ ზაფხულს კავკასიაში ჩამოვა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელსაც მეთაურობენ ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორები ლოდცი და ლაცკო. ექსპედიციაში 19 კაცია. ექსპედიცია ყირიმიდგან ჩამოვა კავკასიაში.

# უცხოეთი

## მნიშვნელობა ახალის კანონისა ასოციაციების შესახებ საფრანგეთში.

შუა საუკუნოებიდგან დაწყებული ასოციაციები დიდ როლს თამაშობდნენ საფრანგეთში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ასოციაციათა შორის ჰქონდა ბერთა ასოციაციებს ან, როგორც ეხლა ეძახიან, სასულიერო კონგრეგაციებს. მესამე რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, დიდის თავისუფლებისა გამო, რიცხვი და მნიშვნელობა ასოციაციებისა საოცრად იზრდებოდა, თუმცა დიდ დაბრკოლებას შეადგენდა იმათთვის ძველი კანონმდებლობა, მცირედ შეცვლილი იმპერიის დამხობის შემდეგ. მარტო სასულიერო კონგრეგაციები ვერა ჰგრძნობდა ამ შევიწროებას; მათ შეეძლოთ თავისუფლად განვითარება მესამე რესპუბლიკის დროს, რადგანაც ძველ კანონმდებლობას სასულიერო კონგრეგაციები სრულიად გამოცალკევებული ჰყავდა სხვა ასოციაციებისაგან და ეს კონგრეგაციები ასოციაციების შესახებს საზოგადო კანონებს არ ემორჩილებოდნენ. საქმის ასეთი ვითარება დიდ უპირატესობას ანიჭებდა კონგრეგაციებს; ამასთან ისინი ყოველსავე კანტროლს სახელმწიფოს მხრივ აცილებულნი იყვნენ. უკანტროლობა დიდად უწყობდა ხელს სასულიერო კონგრეგაციებს, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც საპოლიტიკო გზას ადგნენ და საფრანგეთის დღევანდელ წეს-წყობილების წინააღმდეგ მოქმედებდნენ.

ამ რიგად დიდის თავისუფლებისა და უკანტროლობის მეოხებით სასულიერო კონგრეგაციები საოცარის სისწრაფით გაიზარდნენ და განვითარდნენ. უმრავლესობა კონგრეგაციებისა მხოლოდ სახელს ატარებდა სასულიეროს, ნამდვილად-კი იმათი მოქმედება მრავალ მხრივი იყო. თვით ქონება-შეძლებასაც ათასნაირის ხრიკით იძენდნენ, ხშირად გაიძვერაობასაც-კი არ ერიდებოდნენ. კონგრეგაციები აარსებდნენ სააქციონერო საზოგადოებებს, ვაჭრობდნენ, ჰბეჭდავდნენ და მრავლად ასაღებდნენ ინდულგენციებს, მართავდნენ კასსებს შემოწირულებათა შესაკრებად და სხვა-და-სხვა. ერთი სიტყვით, ათასნაირის საშუალებით შოულობდნენ ფულს, ამასთან შოულობდნენ მრავლად...

სიმდიდრისა და დიდ-ძალ ფულის მეოხებით ბევრ რამეს ახერხებდნენ კონგრეგაციები: აარსებდნენ სკოლებს (ბოლოს დროს კლერიკალთა სკოლების რიცხვმა 35,000-მდე მიაღწია, ხოლო მოსწავლეთა რიცხვმა—1,500,000-მდე), შეჰქმნეს პრესსა, მხნედ შეუდგნენ პროპაგანდას და აგიტაციას და ყველა ამის წყალობით ავრცელებდნენ საფრანგეთში თავიანთ რწმენასა და აზრ-შეხედულებას, ერთი სიტყვით ახორციელებდნენ თავიანთ განსაზღვრულ, კარგად შემუშავებულ საპოლიტიკო პროგრამას. ბოლოს კონგრეგაციათა კრებული სახელმწიფოში მოთავსებულ სახელმწიფოდ გადაიქცა, ისეთ სახელმწიფოდ, რომელსაც თავისი პოლიტიკა ჰქონდა, თავისი საფინანსო სისტემა, თავისი სკოლები, პრესსა. ეს კონგრეგაციები მძლავრ ორგანიზაციად გარდაიქცა, რომლის შემდეგი ზრდა-წარმატებაც საფრანგეთს ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფასა და სამოქალაქო ომს უქადოდა.

საქმის ამ გვარი ვითარება მოსათმენი არ იყო, მაგრამ იმასთან ბრძოლა მეტად ძნელი შეიქმნა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ძველი კანონმდებლობა იმასთან საბრძოლველ გზასა და შეძლებას არ იძლეოდა. როგორც ვთქვით, ასოციაციების შესახებმა ძველმა კანონმდებლობამ სასულიერო კონგრეგაციები თავის მოქმედებისა და გავლენის, თავის კანტროლის გარეშე დასტოვა. სწორედ ამიტომ ახალ კანონმდებლობის მთავარ საგნად შეიქმნა კანონის წინაშე სასულიერო კონგრეგაციების სხვა ასოციაციებთან გათანასწორება, მაგრამ ვიდრე სასულიერო კონგრეგაციებს საზოგადო კანონების მოქმედებას დაუმორჩილებდა, ახალმა კანონმდებლობამ სავალდებულო ჰყო კონგრეგაციებისათვის დაარსების ნება-რთვის აღება მთავრობისაგან. ყოველი კონგრეგაცია, რომელიც დანიშნულ ვადამდე ნება-რთვას არ აიღებდა, თავის-თავს კანონს გარეშე სტოვებდა. ნება-რთვა-კი ყველა კონგრეგაციას არ ენიჭებოდა; ეძლეოდა იგი მხოლოდ იმათ, რომელთაც სასურველადა სცნობდნენ. საქმის უზრუნველსაყოფელად კონგრეგაციებისაგან უპირველეს ყოვლისა თხოულობდნენ, რომ ისინი არც ერთ ისეთ ორდენს არ ჰკუთნებოდნენ, რომლის მეთაური, წინამძღოლიც საფრანგეთის ქვეშევრდომი და საფრანგეთში მცხოვრები არ ყოფილიყო. ამ რიგად ბევრი ორდენი, რომლის პირდაპირი მეთაურიც რომის პაპია (მაგალითად, იეზუიტთა ორდენი), კანონმდებლობამ ipse facto უკანონოდ სცნო. უკანონოდ იქმნენ ცნობილნი აგრეთვე ის სასულიერო კონგრეგაციები, რომელნიც საპოლიტიკო პროპაგანდასა და აგიტაციას მისდევდნენ და საზოგადოდ მავნე მოქმედების გზას ადგნენ. მთავრობამ უნდა განსაჯოს და გადასწყვიტოს რომელ კონგრეგაციის მოქმედებაა მავნე.

ამ რიგად ახალმა კანონმდებლობამ სასულიერო კონგრეგაციები დაუქვემდებარა ასოციაციათა შესახებ კანონებს, დაუმორჩილა საერო მთავრობას და ბოლო მოუღო იმის თავისუფლებას, სახელმწიფოსებურ დამოუკიდებლობას, ერთი სიტყვით, სასულიერო კონგრეგაციები გათანასწორებულ იქმნენ სხვა ასოციაციებთან. ხოლო ამით ახალმა კანონმდებლობამ დასცა იდეია სასულიერო საერო სახელმწიფოსი, ის იდეია, რომელზედაც შუა საუკუნოების ცხოვრება იყო აგებული და რომლისთვისაც რომის კათოლიკეთა ეკლესიამ ესეთი ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლა გაუწია საერო სახელმწიფოებს. საეკლესიო საერო სახელმწიფოს იდეიამ დიდი ხანია დაჰკარგა წინანდელი დიდება, მაგრამ იმის ძალა და გავლენა ზოგიერთებზედ კიდევ დიდი იყო. აი, ამ ჟამად კიდევ დიდის ძალის გაუქმება და მიწასთან გასწორება ჰქონდა აზრად ვალდეკ-რუსსოს ახალ კანონმდებლობას.

ვ. ხუდადოვი.

# სხვა-და-სხვა წერილები

## ტფილისის სასულიერო სემინარია და მისი საოლქო სასულიერო სასწავლებლები.

II

საქმის გაკეთების ინტერესი მოითხოვდა, სემინარიის მთავრობას ყოველ წელიწადს დაეხედნა სასულიერო სასწავლებლებისათვის და, რაშიაც საჭიროება იქნებოდა, ხელმძღვანელობა გაეწია. იმან-კი ეს მოვალეობა მარტო სხვა-და-სხვა მიწერილობით ვითომც-და შეასრულა. არა თუ ყოველ წელიწადს, არამედ არც სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ დაჰხედავდა ხოლმე სასულიერო სასწავლებლებს.

რაკი ცარიელ მიწერილობით ზემორე აღნიშნულნი მოთხოვნილებანი სემინარიის გამგეობისა არ იქმნა დაკმაყოფილებულნი, ე. ი. სასულიერო სასწავლებლებმა ვერ წარუდგინეს სემინარიას ისეთნი მოსწავლენი, რომელთაც რუსული მართლ-წერა, საღმრთო ისტორია და ტიბიკონი უნაკლულოდ სცოდნოდათ, სემინარიის მთავრობამ მოინდომა სასულიერო სასწავლებლების მთავრობისათვის ჩამოერთმია უფლება კურს-შესრულებულ მოსწავლეთა სემინარიის პირველ კლასში გადაყვანისა. ისარგებლა სემინარიაში მოსწავლეთაგან მომხდარ არეულობით და ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის შუამდგომლობით უწ. სინოდს გააუქმებინა 1833 წ. უქაზის ძალა შესახებ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებისა.

უწ. სინოდმა უქაზით 31 იანვრიდგან 1894 წ. № 457 ბრძანა, რომ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში კურს-შესრულებულნი, რომელთაც სასწავლებლების მთავრობა იცნობს ღირსად სემინარიის პირველ კლასში გადაყვანისად, უნდა სემისარიის მთავრობამ გამოსცადოს, შეამოწმოს, მართლა მომზადებულნი არიან თუ არა-და, თუ არ იქმნებიან ღირსნი, არ მიიღონ.

სემინარიის მთავრობამ ამ უქაზის ძალით მიწერილობა გაუგზავნა სასულიერო სასწავლებლებს 31 მაისიდგან 1894 წ. № 761, რომ მსურველნი სემინარიის პირველ კლასში შესვლისა უნდა გამოცხადდნენ სემინარიაში 20 აგვისტოსა და იქმნებიან გამოცდილნი სასულიერო სასწავლებლის მთელს კურსშიო.

ამ მოწერილობის თანახმად დაიწყო გამოცდა 1894 წლიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდლამდის. ყოველ წელიწადს მრავალნი მოსწავლენი, სასწავლებლის მთავრობისაგან სემინარიის I კლასში გადასვლის ღირსად ცნობილნი, რჩებიან სემინარიაში მიუღებლად. არ იქმნება მეტი შევნიშნოთ, რომ თითქმის ყოველ წელიწადს უფრო მცირედ მომზადებულთ იღებდნენ და უკეთესთათვის-კი სემინარიის კარი იკეტებოდა. ეს, რასაკვირველია, უბრალო შემთხვევით შეიძლება აიხსნას, თუ ამისთანა შემთხვევა შესაძლოა ექს-

---

რიაში?!.

— თუ მოხვედი, დიდი სამართალი მოგეცემა!—დაიწყო მეორემ—ი წვრილ-შვილებს რა უყო, თორემ გადავვარდებოდი სადმე, მე ღ ჩემმა ღმერთმა!.. რამდენ ვაი-ვაგლახს უნდა გაუძლოს კაცმა? კაცს ხმაც ვერ ამოუღია, ძალა ხელში ჩაუგდიათ და კარგებსაც მოგარტყმენ!? გადაგემტერებიან და გაჩენის დღეს გაწყევლინებენ!

— ეე! ამ ზამთარ ი საწყალ გაბეგრილძის ქვრივობლებს რომ დღე დააყენეს, რა ვიცი, ძმაო ქვაც-კი ატირდებოდა, მაგრამ გამხეცებული და თავ-გასული ჩვენი კაცი განაღა ღმერთს მოიგონებს!? იმათმა ხვეწნა-ტირილმა ვერ მოალბო გზირების გული?! რაღაც ფული დარჩენოდა გარდასახდელი, შეუცვივდნენ ლეკებივით სახლში ასაკლებათ, მოუსვეს ხელი და დაგლეჯილი ფარდაგი ნახეს, დანტვრეული ქვაბები, თუ ძველი დაკონკილი ლოგინი,—სულ ერთიანათ გამოიტანეს. გაკაპასებული სწყევლიდა ფეფენა: „წაიღეთ ჩემი და ჩემი ობლების ცოდოვო“, მაგრამ მიუბრუნდა ი დათუკა თვალების ბრიალით და საცოდავ დედაკაცს წიხლები ჩააზილა, თანაც ლანძღამდა ი გულზე ცეცხლ-მოკიდებულ ადამიანს: „ე მანდ ხმა აიკმინდეო, შე მაწანწალა, შენა, თორემაო!“—აფსუს ფეფენა. სოფელში ადამიანი ვერა სჯობიან და მაწანწალაო. ოჰ, დავიწვი კაცო ცოდვითა, დავიწვი! ბავშვებმა შექნეს ჟივილ-ხივილი, ტირილი. ი სოლუკას-კი ეტყობოდა, ებრალებოდა და კიდეც უთხრა: კაცო, გეყოფა, თავი დაანებე, ერთი ობოლ-ოხრები არიან, მამასახლისს უთხრათ, ამის მეტი ვერა უპოვეთ-რა, არა აქვთ-რა-თქო“... საწყალ ფეფენას სოლუკას სიტყვებზე ცოტა იმედი მიეცა. კაბის კალთით თვალები მოიწმინდა და გზირებს უთხრა: „ისე მოახსენეთ, თქვენი ჭირიმე, მინამ ჩემი უბედური ქმარი ცოცხალი იყო, ყველას ერთგულად ემსახურებოდა, ეხლა მოკვდა, კარგად იცით, შემომტანი აღარავინა გვყამს-თქო, ობლები შიმშილით მეხოცებიან, ჰადის ლუკმა გაგვიწყდა კიდობანში-თქო. ღმერთი და ძირს დედამიწა მომიცია თავდებათ, ჩემი ჯანით საქმეს გავაკეთებ, ისე გადვიხდი. ეხლა-კი დამაცადეთ, ლოგინს მაინც ნუ გაგვიყიდით, თქვენი ღვთის გულისთვინ. შვილები სიცივით დამეხოცებიან, თავათ შიმშილით მეხოცებიან; ერთი წკირი შეშაც არ გვაბადია.“ საცოდავმა აიყვანა ხელ-ფეხ დახეთქილი ტიტველა სიკო, ჩაისვა კალთაში და შიმშილისაგან არაქათ-გამოლეულმა შავად-დამჭკნარი ძუძუ ამოიღო და მისცა ბავშვს; იმანაც ხარბად დაუწყო წოვა. სხვა დედიშობილა გოგოებსაც თბილ ნაცარში ჩაეყარათ ფეხები და დედას შესტიროდნენ: „პური გვშიან, ამაღამ რაში უნდა დავიძინოთო“!.. საბრალო დედაკაცმა მაინც დამშვიდება დაუწყო: „ნუ ტირით, გენაცვალოთ დედა, ლოგინსაც ისევ მოგვიტანებენ და პურსაც მეზობლებში გისესხავთო“. რა საჭიროა, ძმაო, ამ დროს მშობლის გულში მთელი ჯოჯოხეთი იყო გაშლილი. განა არ იცოდა ოხერმა, ქვრივმა დედაკაცმა, რო ესესხნა კიდეც, საიდან უნდა გადაეხადნა! ჰგრძნობდა საცოდავი ამასა, სულს და გული შეხუთული ჰქონდა და მდუღარება სდიოდა თვალებიდან!.. სოფლის უდიერმა მოხელეებმა-კი მაინც არ შეიბრალეს და წაიღეს ნარბევები. მოდი და ამის მნახველს სიცოცხლე ნუ მოგბეზრდება! პირუტყვები ვართ სწორეთ, პირუტყვები!..—დააბოლოვა გლეხმა თავისი გრძელი სიტყვა და ამ დროს გამოჩნდა მამასახლისიცა თავის მწერლით. გზირებიც უკან მოსდევდნენ ზლაზნით. შეჯგუფული ხალხი, რომელიც ქვრივ ფეფენას თავ-გადასავალს უსმენდა გულის მწუხარებით მეზობელს, გაიყო შუაზე, გზა მისცეს მამასახლისს ღ ქუდის მოხდით სალამი მიართვეს. მამასახლისმაც თავი ოდნავ დაუკანტურა, „გამარჯობათო“ წაიბუტბუტა და კანცელარიაში შევიდა; კანცელარიას მიაწყდა ხალხი. სხვათა შორის, მიიწევდა ჩვენი ნაცნობი მოხუცი ნინიკა უძლურაძეცა, მაგრამ აუარებელი გლეხ-კაცობა, რომელიც მიაწყდა კანცელარიის კარებს, არ უშვებდა, თუმცა ყველას ევედრებოდა: „ერთი მიმიშვით, კაცო, პატარა ხანს, თქვენი ღვთის გულისთვინაო“! მაგრამ ბეჩავ მოხუცებულს ყური არავინ უგდო, ზედაც არავინ შეხედა... კარგა ხნის შემდეგ გამოვიდა გზირი, მივიდა ნინიკასთან და უთხრა:

— ეხლა მამასახლისი სახლში მიდის, დაღალულია და ხვალისთვინ გიბძანა,—მოდიო.

საბრალო ნინიკას ნერწყვი გაუშრა, გულზედ ცეცხლი მოედო და თითქმის თვალცრემლიანი დაეკითხა გზირს:—ბატონი ტიტიკო მანდ ხომ არა ბრძანდება!?

— ტიტიკო დღეს კანცელარიაში არ მოსულა,—მიიღო პასუხი გზირისაგან.

ხალხი დაიშალა. ნინიკა, გაბოროტებული ემდენის უსამართლობით, მივიდა თავის ვენახის რუს სათავესთან იმ განზრახვით, რომ, თუნდა მოეკლათ, წყალი შეეგდო თავის ვენახში. ასედაც მოიქცა, მაგრამ არ გაუვლია დიდხანს, რომ მოხუცებულს დაეცნენ თავს რამდენიმე ტალიკ-ტალიკი ბიჭები და დაუწყეს აურ-ზაური, ჩხუბი, ლანძღვა:

— არა, შე გამოყრუებულო, რომელ კანონის ძალით გვართმევ წყალსა!..

— ბიჭო, შვილო, კი არ გართმევთ, მეც მოხარჯე ვარ, წილი მაქვს და, მაშ, უნდა გავახმო ორი მტკაველი ვენახი მაბადია? იმისაგან მოველი მკვდრის დამარხვასა, აუარებელ ხარჯების გადახდასა და ჩემი ცოლ-შვილის რჩენასა. ქვეყანამ მორწყო და მე რაღას მერჩით?!. ერთი უძლური კაცი ვარ, რა შემიძლიან? კი არ გართმევთ, გთხოვთ დამითმოთ.

— შენ თუ ვენახის მორწყვა გინდოდა, შენ დროზედ მორწყამდი; ეხლა ჩვენი რიგია და ჩვენ გვინდა წყალი.—უთხრა წყრომით ერთმა.

— ერთი მარტო-ხელი, ავადმყოფი კაცი ვარ, მაშინ ლოგინში ვეგდე, ვკვდებოდი და რაღა წყლისა მცხელოდა?..

— არა გცხელოდა და ვერც მორწყამ ვენახს,—უთხრა მეორემ, მივიდა ბარით რუზე და გადაუგდო წყალი იქით.

ნინიკა გადაეღობა წინ და გულმოსულმა თრთოლვით უთხრა:

— რო მამკლათ, წყალს არ დაგანებებთ. ქრისტიანები არა ხართ? ერთი ღამე მაინც იდინოს და მერე, თუ გინდათ, წაიყვანეთ.

აქ ნინიკამაც მიყარ-მოყარა სარუე და თავის ვენახისაკენ მიჰყავდა წყალი, მაგრამ ამაოდ. შეიქნა ღრიალი, ხელის-კვრა, ბოლოს დატრიალდა ბარებიც. უძლურაძემ წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ფასად-კი დაუჯდა. იმან, რომელიც ეკამათებოდა, რო ვეღარ მოიშორა მოხუცი თავიდგან, გულ-მოსულმა დაჰკრა ბარი თავში ნინიკას და მოხუცი ცოცხალ-მკვდარი დაეცა ძირს.

— შე ქოფაკო, სისხლს რაზედ მაძლევ!—დასძინა გამარჯვებულმა. ზარდაცემულნი ამ სანახაობით, მისცვივდნენ ნინიკას და დაუწყეს მტყუნება დამკვრელს. კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ დაუდეს საკაცეზედ ნინიკა და სულთმობრძავი მიაყენეს კარზედ იმის ცოლს მაიას. საწყალმა, დაინახა თუ არა თავისი მეუღლე საკაცეზედ, წაიშინა თავში, მუხლთ-მოეკვეთა ელდით და ღრიალით დაეცა გულ-შემოყრილი.

არ გაუვლია ამის შემდეგ ერთს კვირას, რომ საბრალო მაია მისდევდა თავის გაციებულ ქმრის გვამს გულ-საკლავის მოთქმით: „ვაი ამ დღის მომსწრეს! სიბერის დროს ვიღამ უნდა მიპატრონოს, შენთან ერთად რატო მეც არ ამამხდა ტანჯული სული? რაღა დამრჩენია ამ ქვეყნად და რისთვი ვიცოცხლო. კაცო, ორმოცი წლის ჩემო ტკბილად მაცხოვრებელო! რაღად გინდოდა ვენახი, თუ შენ აღარ იქნებოდი“?!..

მარიამ წინამძღვარიშვილი.

ჯერ ზედი-ზედ იქმნას განმეორებული. საქმე იმაშია, რომ უმცირესობა იქმნა მიღებული და უმრავლესობას-კი კარი დაეკეტა.

სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა მიზეზით ჰხსნის სემინარიის გამგეობა მოსწავლეთა მიუღებლობას. ავიღებ პირველ ორს წელიწადს და გადავსინჯავ მაშინ დასახელებულ მიზეზებსა. ესეც საკმარისი იქმნება სიმართლის გამოსარკვევად.

**1894** და **1895** წწ. გამოცდამ აღნიშნა, რომ მომეტებული რიცხვი მოსწავლეთა სუსტია 1) ძველ და ახალ აღთქმის ისტორიის ცოდნაში, 2) ტროპარ-კონდაკების ზეპირობაში, 3) ტიბიკონის ცოდნაში და 4) რუსულ ენის მართლ-წერაში. მართალია, სხვა საგნებზედაც უთითებდა სემინარიის მთავრობა, მაგრამ ისე არა, როგორც ზემორე აღნიშნულებზედ.

სასულიერო სასწავლებლის პროგრამმით ძველის აღთქმის ისტორიას სწავლობენ პირველ კლასში, ახალ აღთქმის ისტორიას—მეორე კლასში, ტროპარ-კონდაკებს, კატეხიზმოს და გეოგრაფიას მე-III და IV კლასებში, ტიბიკონს მე-IV კლასში, რუსულს, ქართულს და ანგარიშს ოთხსავე კლასებში, ბერძნულს მე-II, III და IV კლასებში.

გამოდის 1) რომ ძველის აღთქმის ისტორიას სამის წლით და ახალის აღთქმის ისტორიას ორის წლით ადრე სწავლობს მოსწავლე კურს-შესრულებამდის. ძველის აღთქმის ისტორიას იმ დროს სწავლობს მოსწავლე, როცა თავისუფლად არ შეუძლიან მარტივ წინადადების შედგენა რუსულ ენაზედ; რა თქმა უნდა, თუ ისწავლის, უნდა ისწავლოს ზეპირად და განა ზეპირად დასწავლილი გაჰყვება სამ წლამდის, რომ მეოთხე წელიწადს სემინარიის მთავრობისაგან გამოცდის დროს გამარჯვებული გამოვიდეს? ამას ისიც დაუმატეთ, რომ დასახელებულ დროს თითქმის ყველგან ისტორიის მასწავლებლები რუსები იყვნენ და მოსწავლენი ზეპირად თუთიყუშივით სწავლობდნენ სრულებით გაუგებარს ფრაზებსა. ისტორიას ყველგან ასწავლის ზედამხედველის თანაშემწე, ე. ი. მთავრობის ერთი წარმომადგენელთაგანი და, ხომ მოგეხსენებათ, ამ თანამდებობაზედ უფრო არა ქართველნი ინიშნებიან. იმას არავინ უგდებს ყურს, როცა ამ თანამდებობაზედ ინიშნება ვინმე, რომ ამ თენამდებობასთან დაკავშირებულია საღმრთო ისტორიის სწავლება და რომ მისი სწავლება ქართულ ენის უცოდნელისათვის ყოვლად შეუძლებელია, ან თუ შესაძლებელია, მარტო-ოდენ თუთიყუშივით, რაგვარი ცოდნაც მოსწავლეებს, როგორც იტყვიან, კარებამდის არ მისდევს.

ახალ აღთქმის ისტორიის სწავლებაც ამავე მდგომარეობაშია. მასწავლებელიც იგივეა და მოსწავლენიც ბევრით არ განირჩევიან განსაკუთრებით წლის დამდეგსა. მაშასადამე, ახალის აღთქმის ისტორიაც ნება-უნებურად უნდა გაიზეპირონ თუთიყუშივით.

ჯერ ერთი, ეს იკითხოს კაცმა, ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი საღმრთო ისტორია რა ზნეობრივს გავლენას იქონიებს მოსწავლეზედ? არა თუ აღზრდის მნიშვნელობა ეკარგება საღმრთო ისტორიას, არამედ სრულიად უკუღმართი შედეგი მოსდევს. ყველამ მტკიცედ იცის, რო მოსწავლეს რა სასწავლებელი საგანიც უჭირდება, რომლის დასწავლაზედაც წვალობს და ბევრს დროს ანდომებს, იმას ცოტ-ცოტაობით იძულებს და ბოლოს საზიზღრადაც მიაჩნია. აი, ეს ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი ზნეობრივის აღზრდისა, ეს უპირველესი საშუალებათაგანი ბავშვის გულში საუკეთესო გრძნობათა გამაღვიძებელი, ეს საფუძვლიანი საძირკველი, რაზედაც უნდა აშენებულ იქმნას ღვთაებრივი სახიერება ადამიანისა, საზიზღარ საგნად გარდაგვიქმნია მოსწავლეთათვის და ამის შემდეგ სხვა-და-სხვა მოთხოვნილებით ვეგებებით მოსწავლეებს, თუ გაჰბედეს და სემინარიის პირველ კლასში შესვლა მოინდომეს.

მთელის რუსეთის იმპერიის სასწავლებლებში არ არის არც ერთი იმისთანა დაბალი, არც სამხედრო, არც სამოქალაქო, არც სამთო და სხვ. სასწავლებელი, სადაც მოსწავლეებს ორისა და სამის წლით ადრე ნასწავლი მოეთხოვებოდეს, თუ ამ ნასწავლს სასწავლებელი პროგრამმას არ გაამეორებინებს. არც ერთი სხვა სასწავლებელი არ არის, რომ გადაჰრით რომელსამე საგანს მოსწავლენი სწავლობდნენ და შემდეგ იმ საგანზედ სიტყვა აღარ ესმოდეთ. როგორც ზემორე აღვნიშნეთ, საღმრთო ისტორიას I და II კლასში ასწავლის ზედამხედველის თანაშემწე, რომელსაც ზევით კლასებში არც ერთი სასწავლო საგანი არა აქვს და, გულითაც რომ უნდოდეს, მოაგონოს მოსწავლეებს საღმრთო ისტორია, ვერ აისრულებს, რადგანაც ამისთვის არა აქვს დრო და არც შემთხვევა ეძლევა.

2) ტიბიკონი, ნუ-კი გეწყინებათ და იქნება არც-კი იცოდეთ, რა არის, და თუნდა იცოდეთ, ნება მომეცით ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ამ საგნის შესახებ, ტიბიკონი ის საეკკლესიო ცოდნაა, რომელიც შეიცავს განმარტებას თვითოეულის ნივთისას, რაც საღმრთო მოქმედების დროს იხმარება, თვით ეკკლესიის როგორც შენობის ნაწილების განმარტებას, თვითოეულ საეკკლესიო წიგნის შინაარსის განმარტებას და მათ ხმარებაზედ სწავლას და ყველა საღმრთო მოქმედების წესრიგის სწავლებას. მართალია, სხვისთვის რომ გეკითხნათ, ტიბიკონს შემდეგის სიტყვებით განმარტავდნენ: „ტიბიკონი არის სწავლა, როგორ უნდა შესრულდეს საღმრთო მოქმედებაო“, მაგრამ იცოდეთ, ამ განმარტებაშიაც ყველა ზემორე ნათქვამი არის მოთავსებული. ასეა თუ ისე, მე-კი დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ტიბიკონი ის ლაბირინტია, რომელშიაც შესული ასისაგან ერთი ძლივს-ღა იპოვის გამოსასვლელ კარებს და დაინახავს ცის კიდესა. ოც-და-ათის, ორმოცის წლის მღვდელს გაუჭირდება სთქვას, ტიბიკონი კარგად ვიციო. ეს ის ტიბიკონი გახლავთ, რომლის საფუძვლიანად შესწავლა შეიძლება მხოლოდ პრაქტიკულად და მაშინაც დიდს დაკვირვებას თხოულობს და განმეორებით მრავალს ვარჯიშობას. ეს ის ტიბიკონია, რომლის ჯეროვანი და უცდომელი შესწავლა ვერ მოუსწვრიათ არა თუ თვით იმ მოსწავლეების მამებს, არამედ თვით მათ პაპებსაც. აი ეს ძნელად შესათვისებელი საგანი გამხდარა იმ მაღალ ღობედ, რომელზედაც ვახტუნებთ სემინარიის I კლასში შემსვლელთა.

საქმე იმაშია, რომ ეს ღობე ადგილ-ადგილ ისე დაბალია, რომ მოსწავლეს გაუჭირვებლივ გადასვლა შეუძლიან, ადგილას-კი ისე მაღალია, რაც უნდა ბევრი ისკუპოს, გადახტომა მისთვის შეუძლებელია. ამიტომ, თუ იმ ადგილს მივიყვანთ, სადაც დაბალია, მოსწავლე ადვილად გადევლება ღობეს, თუ არა, რაც უნდა იხტუნოს, ღობის სიმაღლეს ვერ დასძლევს. ეს არის მიზეზი, რომ ზოგნი ტიბიკონში გამოცდას აკმაყოფილებენ, ზოგნი ვერა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთს სასულიერო სასწავლებელს არ შეუძლიან ტიბიკონის სავსებით მცოდნე მოსწავლენი წარუდგინოს სემინარიას, თუნდა მთელი დრო და გონებითი ძალა მარტოდ-მარტო ტიბიკონის სწავლებას შეალიონ.

მკითხველი გაოცებული იკითხავს, თუ ტიბიკონის სავსებით შესწავლა არ შეიძლებოდა, მაშ პროგრამმაში რად ჩაურთესო? მოვახსენებთ, რომ სავსებით ცოდნა არც არის ჩართული, მაგრამ სავსებით ცოდნას-კი თხოულობენ... უწმ. სინოდს, რასაკვირველია, სახეში ჰქონდა შესაძლებელი და არა შეუძლებელი, როცა კატეხიზმოსთან ერთად ტიბიკონის სწავლება დანიშნა და სულ სამი გაკვეთილი გადასდო ორივესთვის. თანაც სახელმძღვანელო აღნიშნა. შესაძლებელი კიდევ არის შემდეგი: რომ მოსწავლემ იცოდეს ტაძრის შემადგენელი ნაწილები და მათი დანიშნულება; რომ იცოდეს საღმრთო მოქმედების დროს სახმარი შესამოსელი და მათი მნიშვნელობა, იცოდეს საეკკლესიო წიგნების სახელები და მათი ერთი მეორისაგან გარჩევა, რომელი რა დროს იხმარება; იცოდეს წესრიგი წირვისა; იცოდეს, როგორ იკითხება I, III, VI, და IX ჟამნობა, დიდი და მცირე მაღალიანი, დიდი და მცირე საგალობელნი; ამეების ცოდნა მოეთხოვება თვით საეკკლესიო წიგნებში ჩვენებით.

ჩემგან ჩამოთვლილის დასწავლაც უჭირდება მოსწავლეს, რადგანაც მრავალ ახალ სახელების დასწავლა უნდება. სემინარიის მთავრობა-კი აი რასა თხოულობს სასწავლებლების მთავრობათაგან. მიწერილობა 18 ოქტომბრიდგან 1894 წ. № 1328: „ზემორე აღნიშნულ სასწავლებლების (იგულისხმე ტფილისისა, თელავისა ⅾ გორისა) გამგეობათ ვაცნობებთ—1), რომ მარტო სახელმძღვანელო არა კმარა ტიბიკონის სწავლებისთვის, საჭიროა, რომ მოსწავლენი უეჭველად დახელოვნებულნი იყვნენ იმაში, თუ როგორ სრულდება საღმრთო მოქმედება თვით საეკკლესიო წიგნებში ჩვენებით. უნდა იცოდნენ, როგორ იპოვნონ და შეეძლოთ ჩვენება, როგორ სრულდება სხვა-და-სხვა საღმრთო მოქმედება; კერძოდ კიდევ, რომ იცოდნენ შინაარსი ტიბიკონისა და შეეძლოთ ჩვენება ყველა ცნობისა საღმრთო მოქმედების შესახებ“ *).

რომ თავი არ შევაწყინო მკითხველს კიდევ ამოწერით, მოვახსენებ, მეორეჯერაც ესევე მოთხოვნილება გამოხატა სემინარიის გამგეობამ თავის მოწერილობაში.

ერთი იკითხოს კაცმა, საჭირო იყო თუ არა, რომ თვით სემინარიის მთავრობა გაცნობოდა ადგილობრივ საქმეს, შეესწავლა მისი ავი და კარგი და საქმე ისე მოეწყო, როგორც სამჯობინარო იყო. არა. ხსენებულმა გამგეობამ საქმეში ჩახედება არ მოისურვა და უფრო ადვილი გზა აირჩია. მისწერა, ტიბიკონი ისე იცოდნენ, როგორც ასში ერთმა სასულიერო კაცმაც არ იცის და გაათავა ამით.

ჩემი ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვათ არ ჩასთვალოთ, მოსწავლეთაგან ტიბიკონის შესწავლის შეუძლებლობის შესახებ ისე, როგორც თხოულობს სემინარიის გამგეობა, დამრჩენია, ან გთხოვოთ, თვით შეამოწმოთ სიმართლე ჩემგან ნათქვამისა სასულიერო კაცთა გამოკითხვით და ან, კანტისა არ იყოს, სანაძლეო გამოვაცხადო, რომ ათს მღვდელში შვიდი უცოდინარი აღმოჩნდეს იმ სახით ტიბიკონის ცოდნისა, როგორ ცოდნასაც სემინარია შემსვლელ მოსწავლეთაგან თხოულობს, ხოლო იმ პირობით, რომ მღვდლები ერთი საბლაღოჩინოდგან იყვნენ და არა ათისაგან არჩეულნი. მე მზადა ვარ სანაძლეოზედ, თუ-კი სურვილს ვინმე გამოაცხადებს. ამით მე ის-კი არ მინდა, სამღვდელოებას ტიბიკონის უვიცობა ვუკიჟინო, როგორც შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, მე მინდა ამით მხოლოდ მისი თქმა, რომ ტიბიკონის შესწავლა ადვილი არ არის, როგორც ჰგონიათ და, თუ მისი სავსებით შესწავლა მოსახერხებელია, რად უნდა იყოს ისიც ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლის გარეთ და არა თვით სასწავლებელში! აქ-კი თუნდა ასში ერთმა მდიდარ მეხსიერების პატრონმა სძლიოს ეს სიძნელე და ზეპირობით დაისწავლოს ყოველი წვრილმანი საღმრთო მოქმედებისა, ამისთანა დასწავლა მხოლოდ ჰღალავს და აჩლუნგებს მოსწავლის გონებას და ნასწავლიც მალე ავიწყდება

ნადიკვრელი.

### „ივერიის“ ფოსტა:

**ჭ—ას. ა. ნანელს.** მაგ საგანზედ უკვე იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამბავი.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 ივნისი

**პეტერბურგი.** „კანონდებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული აზრი დაღესტნის ოლქში სასმელთა სახაზინო ვაჭრობის დადგენის შესახებ; ეს კანონდება უნდა გავრცელდეს აგრეთვე ტობოლისა და ტომსკის გუბერნიებზე, ყუბანისა, ტერსკისა, დაღესტნისა და სემიპალატინის ოლქებზე.—დღეს მობრძანდა პეტერბურგს პრინცი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ოლდენბურგელი.

**მიტავა.** ჭოლდინგენში სამსახურიდგან გადამდგარმა პოლკოვნიკმა ტრეტოვიუსმა გახსნა აბრეშუმეულობის კურსები. იმ 46,000 თუთის ნერგმა, რომელიც მან გამოიწერა, ზამთარი კარგად აიტანა.

**ბაქო.** ნავთის ფასმა ფუთზე 9—10 კაპეიკით აიწია.

**ირკუტსკი.** ირკუტსკის გუბერნიასა, ზაბაიკალის ოლქსა და მანჯურიაში ბოტანიკურ გამოკვლევათა მოსახდენად მობრძანდა პროფესორი ბოროდინი.—მობრძანდა პროფესორ კოროტნევის მეთაურობით ექსპედიცია ზოოლოგიურ გამოკვლევათა მოსახდენად.

**კოვნო.** გუშინ მეტად იშვიათ მოვლენის მოწმენი გავხდით—გამოჩნდა მთვარის ცისარტყელა შვიდივე ფერისა. ამ მოვლენამ ათ წამს გასტანა.

**კოზმოდემიანსკი.** გაიხსნა ხე-ტყის იარმუკა. სატყვე ხე შარშანდელს აღემატება, მაგრამ ბაქოსა და ზღვის პირების საქმის დაცემით ჰშიშობენ, დაბალი ფასები იქნებაო.

**პარიჟი.** ელჩი თ-დი ურუსოვი საელჩო საქმეების წარმოებას შეუდგა.—ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრს დანევს „Figaro“-ში მოჰყავს საყურადღებო ცნობები, რომელთაც აქვე მოვიყვანთ შემოკლებით: „თავადის გამგზავრება ჩვენის ქვეყნის ისტორიაში საყურადღებო მომენტად უნდა ჩაითვალოს. სასახლეში, ოფიციალურ წრეებში და რუსეთის ხალხმა ისე მიგვიღეს, როგორც სავსებით შეესაბამებოდა ჩვენს მათდამი გრძნობებს. ჩვენ გვაერთებს მტკიცე კავშირი ჩვენის თავისუფლების მომნიჭებლებთან.“ მინისტრი უარს ჰყოფს ბოლგარიის სამთავროთ აღიარების ხმებს. შემდეგ დანევი შეეხო საფრანგეთის სესხს და სთქვა, რომ საფრანგეთის მთავრობა სიმპატიით მოეპყრო მათ და აღუთქვა დახმარება, რომელიც ნამდვილი აღმოჩნდა.

**პარიჟი.** სენატის კამათი. სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება ორ წლამდე პარლამენტშიაც და მის გარეშეც დიდ წინააღმდეგობას იწვევს. გუშინ მეზიერი ამტკიცებდა სენატში, რომ დიდად სახიფათოა ცვლილებათა შემოღება, თუ წინასწარ კადრები არ მოვაწყეთ. სენატორი გუდენი უპასუხებდა, რომ წინადადება ეხლანდელ ჯარის მილიციით შეცვლისა ჩვენის ქვეყნის დაცვას დიდს განსაცდელში ჩააგდებსო. გენერალმა მარკიზ დე-გალიფემ „Journal des Débats“-ში დაჰბეჭდა წერილი ორი წლით სამსახურის ვადის წინააღმდეგ. ორის წლის სამსახური სრულებით დაჰღუპავს და აღმოფხვრის სამხედრო საქმის სიყვარულს, რომელსაც ყოველ ქვეყანაში ხელს უწყობენ, რათა ხალხი დაცემისაგან დაიცვან.

8 ივნისი

**ბელგრადი,** უსკუბის ეპისკოპოზის ფირმილიანის ხელ-დასხმა სალონიკში არ მოხდა, რადგან ადგილობრივმა სამღვდელოებამ ეკკლესია არ დაუთმო. ხმა დადის, რომ პატრიარქმა გადასწყვიტა ათონის რუსთა მონასტერში შეასრულოს ხელ-დასმის წესი.

**ადესა.** დამტკიცდა ხაჯიბეის ლიმანზედ კურორტისა და სანატორიის დასაარსებლად სააქციონეს საზოგადოების წესდება.

**ტომსკი.** კაპიტალისტთა ჯგუფი ტომსკში ადგენს თუჯის ჩამოსასხმელად მექანიურ ქარხანის მოსაწყობ ამხანაგობას.

### პეტერბურგის ბირჟა, 7 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,10 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96⅞ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 98⅝ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 468 წვ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 359 გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 289 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | 88⅝ წვ. გაყ. |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 89¾ გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4555 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 430 წვ. გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 170 გაყ. |

### ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

| | მოდის ტფილ. | გადის ტფილ. |
|---|---|---|
| **ბ ა ქ ო.** | | |
| სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) | 3 ს. 43 წ. დღ. | 11 ს. 49 წ. დილ. |
| ფოსტის „ (ყოვ.-დღე) | 4 ს. 54 წ. დღ. | 1 ს. 34 წ. დღ. |
| სამგზავ. „ „ | 8 ს. 37 წ. დილ. | 8 ს. 22 წ. საღ. |
| **ბ ა თ უ მ ი.** | | |
| სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) | 10 ს. 2 წ. დილ. | 7 ს. 43 წ. დილ. |
| ფოსტის „ „ | 12 ს. 32 წ. დღ. | 6 ს. 7 წ. საღ. |
| სამგზავ. „ „ | 7 ს. 37 წ. საღ. | 9 ს. 27 წ. დილ. |
| **ყარსი და ალექსან.** | | |
| ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) | 7 ს. 18 წ. დილ. | 9 ს. 28 წ. საღ. |
| ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან) | 4 ს. 35 წ. დღ. | 3 ს. 13 წ. დღ. |
| **ბ ო რ ჯ ო მ ი.** | | |
| სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე). | 6 ს. 57 წ. დილ. | 6 ს. 22 წ. დილ. |
| სამგზავრო „ „ | 9 ს. 53 წ. საღ. | 2 ს. 28 წ. დღ. |

## განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

## ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდან არბოლისა ფასი 10 კ.

და

## მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობის

## „შხეფას“

გამგეობა იწვევს პაის პატრონთა არა-ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია სამშაბათს, 18 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, გურგენოვის ბაღში, მიხეილის პროსპექტზედ, № 143.

განსახილველი შემდეგი საგნები:

1) გამგეობის ხუთი წევრის ამორჩევა.

4) სამის სარევიზიო კომისიის წევრისა და ორის მათის კანდიდატის ამორჩევა.

3) გადაწყვეტა გამგეობის შემდეგის მოხსენებისა.

გამგეობა აცხადებს აგრეთვე, რომ გადაწყვეტილია 5% შეტანა, ესე იგი 5 მ. შეტანა წილ-წილად თითო პაიში—19 ივნისიდგან 28-მდის, აგრეთვე 29 ივნისიდგან—9 ივლისამდე [illegible] ამხანაგობის [illegible] მე-§ 7 თანახმად, ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარმოადგინონ პაის კვიტანციები.

(2—356—1)

### წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი და მოძველებული წიგნები:

| | |
|---|---|
| სამშვილდეთ ამბავი ეკ. გაბაშვილისა | „ 30 |
| საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ | „ 60 |
| სალიტერატურო ქრესტომ. სილოვან ხუნდაძისა | 1 მ. |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა | „ 30 |
| ყოველის მხრიდან, არბოლისა | „ 10 |
| ამიდის ნათელა, ვაჟა-ფშაველასი | „ 15 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | „ 50 |
| ამბავი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | „ 15 |
| [illegible] | „ 15 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ 40 |
| აბო ტფილელი, ე. კ. | „ 5 |
| Або Тифлисскій, Е. К. | „ 5 |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | „ 60 |
| [illegible] | „ 10 |
| რ. აბაშიძისა | „ 10 |
| დ. [illegible] | „ 25 |
| [illegible] წიგნი, გ. თაყაიშვილისა | „ 20 |
| მუშათა კითხვა | 15 |
| [illegible] | „ 5 |
| [illegible] | 1 |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა | „ 5 |
| Древній Анчисхатскій соборъ Карбеловъ | „ 50 |
| [illegible], გ. იოსელიანისა | „ 5 |
| შრომა და მეცნიერება, თარგ. ნინიძისა | „ 5 |
| ჩანგი, გ. აბაშიძისა | 1 |
| [illegible], ს. ხუნდაძისა | „ |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ 50 |
| [illegible] | „ 30 |
| ცხოვრება დავით II, გამოც. ი. [illegible] | 1 |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | „ 50 |
| დედა, ანდერსენისა | „ 5 |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели | 30 |
| [illegible] | „ 10 |
| [illegible] | „ 3 |
| [illegible] | „ 5 |
| დამოძღვრება, თარ. თ. სახოკიასი | 1 მ. |
| [illegible] ნინიძისა | „ |
| Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К. | „ 5 |
| Давидъ Гареджели, Е. К. | „ 5 |
| [illegible], მოთხრობა | „ |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | „ 5 |
| Назрѣвшій Е. ропов съ, К. | „ |
| ოცი წლის წინედ, გ. [illegible] | „ |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ | „ |
| [illegible] | „ |
| [illegible] მეფის [illegible] ხელთ-ნაწერი | 1 მ. |
| [illegible] | „ |
| [illegible] | „ |
| [illegible] | „ |
| [illegible] | 1 მ. |
| [illegible] ისტორია, III—IV ტ. | 1 მ. |

---

*) Рекомендовать правленіямъ названныхъ училищъ—1-ое, чтобы преподаваніе церковнаго устава не ограничивалось изученіемъ учебника, но чтобы ученики были непремѣнно ознакомлены съ порядкомъ богослуженій по самымъ церковно-богослужебнымъ книгамъ, по которымъ они умѣли-бы находить и отправлять различныя церковныя службы, въ частности,—чтобы ученики знали содержаніе типикона и умѣли находить въ немъ всѣ необходимыя указанія для отправленія службъ. ეს გახლავთ სიტყვა-სიტყვით ამოწერილი მოწერილობიდგან, отъ 18 октября 1894 г. за № 1328.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 іюня 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.